გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№135 (891) 20 - 22 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სად არის მიხეილ სააკაშვილი?

გვ. 3

შეხვდა თუ არა მიხეილ მაჭავარიანს ნიუ იორკში და როდის ჩამოვა ექსპრეზიდენტი საქართველოში?

კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი

ლეიკემიით დაავადებული, სასიკვდილოდ განწირული პაციენტები უკვე განკურნეს — 3-5 წელში კიბოს გრიპივით დაამარცხებენ

გვ. 8

ლაშა თორდიას იჭერენ

გვ. 3

ვისი მანქანით დადის პაციკო კუბლაშვილი და რა ბრალდებას წაუყენებენ აუდიტის სამსახურის უფროსს?

ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ გაყიდვაზე სანქციები მკაცრდება

პირველივე შემთხვევაზე, აფთიაქის მფლობელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა და საქმიანობის უფლება 10 წლით ჩამოერთმევა

გვ. 2

შპს „ოლიას" საქმე

გვ. 6

გიგი მესხელი

ერთი შეხვედრის ისტორია

გვ. 4

რის თქმას აპირებს ბიზნესმენი ნაზი ალასანია ირაკლი ღარიბაშვილისთვის

გვ. 5

სამართალი

ინტერვიუ ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით მამისეიშვილთან

შს მინისტრის ინიციატივით, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ გაყიდვაზე სანქციები მკაცრდება

პირველივე შემთხვევაზე, აფთიაქის მფლობელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა და სააფთიაქო ან ფარმაცევტული საქმიანობის უფლება 10 წლით ჩამოერთმევა

რუსუდან შელია
557-100-768

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით, იმ აფთიაქების მიმართ, სადაც ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები რეცეპტის გარეშე გაიყიდება, სანქციები გამკაცრდება, კერძოდ — პირველივე ჯერზე აფთიაქის მფლობელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და სააფთიაქო ან ფარმაცევტული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მინიმუმ 10 წლით იგეგმება. კანონპროექტის მიზანი კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარების აღმოფხვრა და ლეგალური სამკურნალო საშუალებების არალეგალურ არხებში გადინების პრევენციაა.

კანონპროექტი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა, შს მინისტრმა 19 დეკემბერს, მთავრობის სხდომაზე წარადგინა. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი უკვე განიხილეს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე შსს-ს მიერ წარმოდგენილი პაკეტი საბოლოოდ შეჯერებულ ვარიანტს წარმოადგენს, სადაც წინადადებები და შენიშვნებიც გათვალისწინებულია. შს მინისტრ **ალექსანდრე ჭიკაიძეს** იმედი აქვს, რომ მის ინიციატივას საზოგადოება აქტიურად დაუჭერს მხარს: **„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების რეცეპტის გარეშე რეალიზაცია სისხლის სამართლებრივ პასუხისგებას ან 15-20 წლამდე ფარმაცევტული საქმიანობის აკრძალვას ითვალისწინებს. აღნიშნული ქმედების ჩამდენს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ემუქრება. ეს ინიციატივა უკანასკნელ წლებში დაფიქსირებული საგანგაშო სტატისტიკის შედეგია, რადგან კუსტარული ნარკოტიკების დამზადება აბსოლუტურად უკონტროლო იყო. ფსიქოტროპული აფთიაქებიდან მისი რეალიზაცია-გაყიდვა ხდებოდა, ხშირ შემთხვევაში, უკანონოდ, ე.წ. რეცეპტის გარეშე. გადავწყვიტეთ ისეთი კანონპროექტის ინიცირება, რომლის მიხედვითაც რეცეპტის გარეშე მედიკამენტების რეალიზაცია პირდაპირ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებას ითვალისწინებს. იმედი მაქვს საზოგადოების მხარდაჭერის, რადგან ნარკომანიის მიმართულებით ძალიან დიდ ციფრებთან გვაქვს საქმე“.**

„კატასტროფული და უკიდურესად შემაშფოთებელი“ — ასე შეაფასა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** სააფთიაქო და სუროგატული ნარკომანიის კუთხით არსებული მდგომარეობა. მინისტრის განმარტებით, ქიმიური პრეპარატებით ნარკოტიკული თრობის გამოწვევა უკვე იმდენად იაფი და ხელმისაწვდომი გახდა, რომ მასობრივი ხასიათი მიიღო: **„მრავალთვიანი ანალიტიკური მუშაობის შედეგად შევაჯერეთ კანონპროექტი, რომლის არსიც შემდეგში გამოიხატება: პირველ ეტაპზე ეფედრინის შემცველი მედიკამენტრები მეორე ჯგუფიდან პირველ ჯგუფში გადაინაცვლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეცეპტით, ნარკოტიკების მსგავსად მკაცრად გაიცემა. გარდა ამისა, ქვეყანაში ბოლო წლებში ათეული მილიონობით ისეთი მედიკამენტია შემოსული, რომელთა საჭიროება არც ისე დიდია. სახელმწიფო განსაზღვრავს კვოტებს, ქვეყანაში რამდენი ასეთი მედიკამენტი უნდა შემოვიდეს“.**

ჯანდაცვის მინისტრი იმედოვნებს, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კანონპროექტს პარლამენტი მალე დაამტკიცებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივას დადებითად აფასებს უმრავლესობის წევრი, ჯანდაცვის კომიტეტის წევრი **გედევან ფოფხაძე**. მისი განცხადებით, სანქციების გამკაცრება ერთგვარი პრევენციაა: **„აფთიაქების უკონტროლო მუშაობა საზოგადოებისთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს შეიცავს. წინასწარ შედეგებზე საუბარი რთულია, თუმცა ვფიქრობ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა ეფექტურად იმუშავებს“.**

საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი, **კახი კახიშვილი** კი მიიჩნევს, რომ მედიკამენტთა სპეციალური ჩამონათვალი უნდა გაკეთდეს: **„წლების განმავლობაში აფთიაქებში აბსოლუტურად უკონტროლოდ იყიდებოდა წამლები, რომელთა ერთობლიობითაც ნარკოტიკული საშუალების დამზადება იყო შესაძლებელი, კუსტარულად დამზადებული ნივთიერებები კი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე საკმაოდ ნეგატიურად აისახებოდა. კარგი იქნება, თუ პრევენციის მიზნით, შეიქმნება მედიკამენტთა სია, რომელთა გაყიდვაც მხოლოდ რეცეპტის საფუძველზე მოხდება. რაც შეეხება უშუალოდ მუშაობის პრინციპებს, როგორ უნდა დაფიქსირდეს აფთიაქში ურეცეპტოდ მედიკამენტის გაცემის შემთხვევა, საკმაოდ მარტივია: აფთიაქის მფლობელისთვის ქვეყანაში შემოტანილი მედიკამენტების აღრიცხვა სავალდებულო გახდება, ხოლო შემდგომში თითოეული მედიკამენტის გაყიდვა ექიმის შესაბამისი რეცეპტის წარმოდგენით დასაბუთდება“.**

საქართველოში, 2009 წლიდან, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების (დეზომორფინი, „ნიანგი“ იგივე „კრაკადილი“) და ამფეტამინების (ე.წ. „ვინტისა“ და „ჯეფის“) მოხმარების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება. მათ დასამზადებლად საჭირო უმთავრესი ქიმიური ნივთიერებების შეძენა, აფთიაქებში მზა ფარმაცევტული პროდუქტის — კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული საშუალებების სახით მარტივია. აღნიშნული კომბინირებული საშუალებების აფთიაქებიდან გაცემა „ფორმა №2“ რეცეპტის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, თუმცა ეს წესი უმეტესად ირღვევა. კერძოდ, ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმისა და უწყებების მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 16 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე 27 აფთიაქში განხორციელებულმა ერთობლივმა ინსპექტირებამ გამოავლინა, რომ „ფორმა №2“ რეცეპტის გარეშე, კანონმდებლობის დარღვევით, 3 447 946 ერთეული (აბი) კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატია გაცემული.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იქნება.

„რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გადახედვა პოზიტიური ნაბიჯი იქნება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მიესალმება ვლადიმერ პუტინის მზაობას, რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობა დაარეგულიროს: **„ქართული მხარის ინიციატივით, შარშან დაიწყო საქართველო-რუსეთის პირდაპირი დიალოგი, რამაც გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო, თუნდაც პრაქტიკულ სფეროებში კავშირების აღდგენის თვალსაზრისით. ჩვენი სურვილია, ეს დიალოგი გაგრძელდეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდეთ რთული, დელიკატური პრობლემების მოგვარებას. ვფიქრობ, რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის არსებული სავიზო რეჟიმის გადახედვა პოზიტიური ნაბიჯი იქნება ჰუმანიტარული ურთიერთობების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ვადასტურებ, რომ საქართველოში რუსი ხალხის მიმართ იყო და არის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რაც კარგი საფუძველია მომავალი თანამშრომლობისთვის. რაც შეეხება უახლესი ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს, მათ მიზეზებსა და შედეგებზე რუსეთისგან განსხვავებული პოზიციები გაგვაჩნია. მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ვრცელი და კომპეტენტური დასკვნა გაკეთდა ევროკავშირის ეგიდით შექმნილი ე.წ. ტალიავინის კომისიის მიერ. ორი ქვეყნის ურთიერთობაში ბოლოდროინდელი წინგადადგმული ნაბიჯები გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის“.**

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთი მზადაა, საქართველოსთან უვიზო რეჟიმს დაუბრუნდეს.

კრიზისების მართვის საბჭოს მინდია ჯანელიძე უხელმძღვანელებს

35 წლის მინდია ჯანელიძეს დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია, კონტრმზვერავი/იურისტი-სამართალმცოდნეს სპეციალობით. დამატებითი სპეციალური განათლება დასავლეთის ქვეყნებში აქვს მიღებული. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ოპერატიული სამსახურის სამმართველოს უფროსი, 2012 წლიდან კი ხელმძღვანელობდა შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. ვიცე-პოლკოვნიკია, მიღებული აქვს ღირსების ორდენი და უწყებრივი ჯილდო – მედალი მაღალი პროფესიონალიზმისთვის.

უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მთავრობის მიერ ახალი კონსტიტუციის ფარგლებში დაკისრებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ეფექტური და ოპერატიული განხორციელებისთვის შეიქმნა.

„პირველი“

ვერსიანიუსი

შსს-მ თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის გაცემის ბრალდებით სამი პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით თაღლითობის, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის, ექსპერტზე ზემოქმედების განხორციელების და ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემის ბრალდებით კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ამავდროულად შპს „ლებეს“ თანამფლობელი – 1957 წელს დაბადებული ლევან დემეტრაშვილი, შპს „ლებეს“ დირექტორი – 1957 წელს დაბადებული ბესიკ იორდანაშვილი და სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი – 1974 წელს დაბადებული დავით გელიაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან დემეტრაშვილმა კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, ბესიკ იორდანაშვილის მეშვეობით, 2009 წელს შპს „ლებე“ დააარსა და ამავე საწარმოს მმართველობაში ფარულად მონაწილეობდა. ბესიკ იორდანაშვილი კასპის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა ტენდერსა და გამარტივებული შესყიდვებისას უპირატესობას ანიჭებდა და მფარველობას უწევდა შპს „ლებეს“. კერძოდ, 2013 წლის მარტში კასპის რაიონში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის შენობა-ნაგებობებისა და სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს მთავრობამ 800 000 ლარი გამოყო.

2013 წლის მარტი-მაისის პერიოდში კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ლევან დემეტრაშვილის ლობირებით ზემოაღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად შპს „ლებეს“ ხელშეკრულებები გაუფორმა. ლევან დემეტრაშვილმა და ბესიკ იორდანაშვილმა დოკუმენტებში შეიტანეს ყალბი მონაცემები, რითაც ხელოვნურად გაზარდეს შპს „ლებეს“ მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მათ გაყალბებული დოკუმენტაციისთვის კანონიერი ფორმის მინიჭების მიზნით, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი დავით გელიაშვილი დაიყოლიეს და მის მიერ გაცემული ექსპერტიზის ყალბი დასკვნა კასპის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარადგინეს, რის შედეგადაც თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 70 000 ლარს.

გამოძიება ლევან დემეტრაშვილის მიმართ დიდი ოდენობით თაღლითობის, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის და ექსპერტზე ზემოქმედების განხორციელების ფაქტებზე (სსსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 337-ე და 372-ე მუხლების 1-ლი ნაწილით), ბესიკ იორდანაშვილის მიმართ – დიდი ოდენობით თაღლითობის (სსსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), ხოლო დავით გელიაშვილის მიმართ – ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ირუსუდან შელია
557-100-768

საღ არის მიხეილ სააკაშვილი?

შეხვდა თუ არა მიხეილ მაჭავარიანს ნიუ იორკში და როდის ჩამოვა ექსპრეზიდენტი საქართველოში?

ვანო მერაბიშვილის სკანდალური განცხადების შემდეგ, ხელისუფლება პანაშვიდზე მისული იმ მოტირალის როლში იყო — „არ მჯერა მისი სიკვდილი, არ მჯერა, არ მჯერაო“ რომ აიკვიატა, ხოლო ოპოზიცია შეწუხებული გულშემატკივრის — „ვისაც გვჯერა, გაგვატარეო“ რომ მიაძახა და ჯიუტად გააგრძელა — „მატროსოვზე“ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მართალია, ბევრი პოლიტიკოსი სიამოვნებით იხილავდა არათუ პალტოს თავზე, არამედ ყულფს ვანო მერაბიშვილის კისერზე, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს რეპლიკას — მაშინ რა განსხვავებაა გირგვლიანის მკვლელები რომ გაჰყავდა „საგულაოდ“ ანდა „კანონიერ ქურდებს“ რომ ანებივრებდა გოგირდის აბანოში იმ ხელისუფლებასა და ამ სამართლიან და ღირსეულ ხელისუფლებას შორის?

18 დეკემბერს, პროკურატურის შენობის წინ, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და მხარდამჭერებმა, დაკითხვაზე დაბარებული გიგი უგულავას საგულშემატკივროდ შეკრება ნახევარი საათით ადრე დაიწყეს. აქვე იყო ის ხალხი, ვისაც ვანო მერაბიშვილის მეუღლემ თაკო სალაყაიამ Facebook-ის საშუალებით, შეკრებისკენ მოუწოდა. თბილისის მერის მხარდამჭერ აქციაზე პირველები გია ხუროშვილი, სერგო რატიანი, გიორგი ბარამიძე, კობა ხაბაზი გამოჩნდნენ. პარტიის დანარჩენი ლიდერები — გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, დავით საყვარელიძე, ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, გიორგი ვაშაძე აქციას მოგვიანებით, გიგი უგულავასთან ერთად შეუერთდნენ.

— დაიჭერენ? — ჰკითხა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მეორეს, როცა გიგი უგულავა სცენაზე ასასვლელად ემზადებოდა.

— თუ წინასწარ იციან, რომ დაკავების შემთხვევაში, სასამართლო გაათავისუფლებს, დღესვე გამოუშვებენ. თუ არა, კიდევ ერთხელ ჩაფლავდებიან, — შეკითხვას ცივად უპასუხა ნაციონალების ახალგაზრდა მხარდამჭერმა.

ამასობაში, გიგი უგულავამ გიორგი ბარამიძეს მიკროფონი გამოართვა და აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა: **„დაკითხვიდან გამოვალ თუ არა, არ ვიცი, თუმცა ბრძოლას ამით არ ვამთავრებთ. გარწმუნებთ, თბილისის მერიას „პაჭანიკები“ ვერ დაეპატრონებიან. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, ყველა თბილისს ებრძოდა, თუმცა დედაქალაქის წინააღმდეგ ხელის აღმართვა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. დიდი ხანია ხელისუფლების ვიგინდარობას ვერ შევეგუე, მაგრამ დღეს ხელს აღმართავენ არა ჩემზე, არამედ იმ 1500 ადამიანზე, რომლებიც დღე და ღამე თბილისის ფუნქციონირებისთვის შრომობენ. პირობას გაძლევთ, თბილისი ფუნქციონირებას ეფექტურად გააგრძელებს“.**

გიგი უგულავა მხარდამჭერებმა პროკურატურაში ტაშით შეაცილეს. საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილმა კი მას ცრემლიანი მზერა გააყოლა: **„საქართველოს ხელისუფლება თბილისის საუკეთესო მერის გასამართლებას ცდილობს და ჩემი დარდის მიზეზიც სწორედ ეს არის. ადამიანი, რომელმაც უამრავი სიკეთე გააკეთა დედაქალაქისთვის, როგორც მინიმუმ, მადლობას იმსახურებს, არადა, დაკითხვაზე დაყავთ. საქმე გვაქვს წვრილმან და შურისმაძიებელ ადამიანებთან, რომლებსაც თავში რა დაუტრიალდებათ, არავინ იცის. შურისძიება მათთვისვე იქნება წამგებიანი. უგულავასთან წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ვიცი, ყველა ბრალდება, უსაფუძვლოა“.**

სანამ გიგი უგულავა პროკურატურის შენობაში დაკითხვაზე ჰყავდათ, ნაციონალური მოძრაობის წევრებს მოუსვენრობა ეტყობოდათ. არავინ იცოდა, დაკითხვის შემდეგ თბილისის მერს გაათავისუფლებდნენ თუ პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანდნენ. დავით საყვარელიძე თანაგუნდელებთან გიგი უგულავას იუსტიციის სამინისტროში გადაყვანის ვერსიაზე საუბრობდა: **„პროკურატურიდან იუსტიციის სამინისტროს შენობამდე გასასვლელი გვირაბია და შესაძლოა, უკვე იქით გადაიყვანეს“.** გოკა გაბაშვილი კი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შენობის ფოიეში, ტელევიზორთან იდგა და პროკურატურის მიერ დანიშნულ საგანგებო ბრიფინგს მოუთმენლად ელოდა... როცა პროკურატურის წარმომადგენელმა თბილისის მერისთვის ბრალის დამძიმების შესახებ გადაწყვეტილება ჩაიკითხა და განაცხადა, რომ უგულავამ, მერიის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავა, რომლითაც ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ხარჯების დასაფინანსებლად თბილისის რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი თბილისის განვითარების ფონდის თანხები გაიფლანგა, გოკა გაბაშვილმა გვერდითმდგომ ქალბატონს გადაუჩურჩულა: დღეს არ დაიჭერენო.

„ვერსიასთან“ საუბრისას დავით საყვარელიძემ ვანო მერაბიშვილის განცხადების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება კიდევ ერთხელ მოითხოვა: **„დიდი ხანია ხელისუფლება ისტერიულ ნაბიჯებს დგამს და ალბათ, ფსიქოთერაპევტიც მალე დასჭირდებათ. ეს ადამიანები ვერ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ — მმართველი გუნდის ერთი ფრთა ამბობს, მერაბიშვილის განცხადების საფუძველზე გამოძიება უნდა დაიწყოსო, მეორე შტო კი, მათ შორის პრემიერ-მინისტრიც ამტკიცებს, ამისთვის დრო არ გვაქვსო. ფაქტია, ოთარ ფარცხალაძის გაწირვა არ უნდათ, რადგან ბევრ ინფორმაციას ფლობს. დაუშვებელია, ასეთ ადამიანს პროკურორის მუნდირი ეცვას. რეპრესიები ნაციონალური მოძრაობის დემორალიზებას ემსახურება. მათ ჩვენი გაჩერება და დაშინება სურთ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ამ ყველაფერს ბრიყვულად აკეთებენ. როცა დანაშაულის შესახებ პროკურატურაში ინფორმაცია შედის, მით უმეტეს, თუ მსგავს განცხადებას ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი აკეთებს, საგამოძიებო ორგანო ვალდებულია, საქმეზე გამოძიება დაიწყოს. პარალელურად, გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან უნდა გადადგეს მთავარი პროკურორი, საქმე კი ნეიტრალურმა პირმა ან საპარლამენტო კომისიამ უნდა გამოიძიოს“.**

დავით საყვარელიძე თინა ხიდაშელის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომელმაც ვანო მერაბიშვილის განცხადების გამოსაძიებლად კომპეტენტურ ორგანოდ სასჯელაღსრულების ან შინაგან საქმეთა სამინისტრო დაასახელა: **„როცა ხიდაშელსა და მის პოლიტიკურ ინტერესებს სჭირდება, საპარლამენტო კომისიის აპოლოგეტად გვევლინება. საინტერესოა, სასჯელასრულების სამინისტრო როგორ გამოიძიებს საქართველოს მთავარი პროკურორის წინააღმდეგ საქმეს? ისიც გაუგებარია, სასჯელაღსრულების კონკრეტული დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინააღმდეგ უწყების რიგითი გამომძიებელი საქმეს როგორ აღძრავს? მსგავსი განცხადებები ღიმილისმომგვრელია. თუ საპარლამენტო კომისია არ შეიქმნება, დადასტურდება, რომ ხელისუფლება დანაშაულზე არ რეაგირებს“.**

პოლიტიკურ დევნასა და მთავარი ოპოზიციური ძალის განადგურების მცდელობაზე ისაუბრა გიგა ბოკერიამაც: **„ხელისუფლების მსგავსი ქმედებები პირდაპირ მიანიშნებს, რომ „ქართული ოცნება“ მთავარი ოპოზიციური ძალის განადგურებას მიზანმიმართულად ცდილობს. ექსპრემიერმა არ დამალა, რომ პროკურატურის ნაბიჯები ნაციონალური მოძრაობის რიტორიკაზე იქნება დამოკიდებული. მათ ძლიერი კონკურენტი არ აწყობთ და შერჩევით სამართალს გვთავაზობენ“.**

დაახლოებით ერთ საათში, გიგი უგულავა პროკურატურიდან ადვოკატთან ერთად გამოვიდა. მას ბრალი წარუდგინეს და გაათავისუფლეს. თბილისის მერს პარტიის კოორდინატორების უკანონოდ დაფინანსებისთვის შესაძლოა 7-დან 11 წლამდე პატიმრობა შეუფარდონ.

როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მთავარი პროკურორის მუქარა — დავიჭერთ ყველა შენს მეგობარსო, ძალაში შევიდა — გიგი უგულავას პარალელურად, გირგვლიანის საქმეზე დაკითხვაზე დაიბარეს კახა ბუცხრიკიძე და გიორგი ღვინიაშვილი... თუმცა ვანო „ღადაობს“ — ოთხადგილიანი საკანი თავისუფალი მაქვს და ყველას მივიღებ, რა პრობლემაა. ამ ნაციონალურ ორომტრიალში კი მთავარი კითხვა მაინც პრეზიდენტ სააკაშვილს უკავშირდება — სად არის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი მაშინ, როცა მისი პარტიის წევრები ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობენ? პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ვანო მერაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება მესიჯია სააკაშვილისთვის. ამიტომაც, საინტერესოა, დაუკავშირდა თუ არა „პირველი ნაციონალი“ „გაჭირვებაში მყოფ“ თანაგუნდელებს? — ეს, ყველა ლოგიკით, უნდა გაეკეთებინა, პარტიული, ადამიანური, მეგობრული თუ კაცური პრინციპებიდან გამომდინარე. როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, მიხეილ სააკაშვილს არც ერთმა ზემოჩამოთვლილმა პრინციპმა არ უკარნახა, თანამებრძოლებს შეხმიანებოდა. მეტიც, გიორგი ბარამიძის განცხადებით, იგი პოლიტიკური აქტივობებისგან თავს იკავებს და ტაიმ-აუტს იღებს. ვანო მერაბიშვილის განცხადებასა ან გიგი უგულავას სავარაუდო დაპატიმრებასთან დაკავშირებით, სააკაშვილის დამოკიდებულება უცნობია დავით დარჩიაშვილისთვისაც. პარტიის თავმჯდომარე კონტაქტზე არც ზურაბ ჭიაბერაშვილთან გამოსულა, რომლის გვარიც, მერაბიშვილთან ერთად, ერთ-ერთ საქმეში ფიგურირებს.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ყოფილი პრეზიდენტი ამერიკაში, კერძოდ, ნიუ იორკშია, როგორც შევიტყვეთ, ნიუ-იორკშია მიხეილ მაჭავარიანიც, რომელიც საქართველოში 20 დეკემბერს დაბრუნდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ მიხეილ მაჭავარიანია ის დეპუტატი, რომელიც ვანო მერაბიშვილს საკანში ყველაზე ხშირად სტუმრობდა და პარტიაშიც მის მოვალეობას ასრულებს, შესაძლებელია, მაჭავარიანის ამერიკული ვოიაჟის მიზეზი სააკაშვილთან შეხვედრა იყოს. რამდენად რეალურია ეს ვერსია, ამას რამდენიმე დღეში შევიტყობთ.

ლაშა თორდიას იჭერენ?!

ვისი მანქანით დადის პაციო კუბლაშვილი და რა ბრალდებას წაუყენებენ აუდიტის სამსახურის უფროსს?

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში დაკავებების ახალი ტალღა დაიწყება. როგორც ამბობენ, გააქტიურებული მაკონტროლებლების სამიზნე ამჯერად აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა) და მისი შეფი ლაშა თორდია გახდება. ლაშა თორდიაზე, რომელიც აქტიურ ნაციონალ კანონშემოქმედთა ფრთას მიეკუთვნებოდა, არსებობს მასალები, რომელიც აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ხარჯთაღრიცხვებსა და სხვა ფინანსური გამჭვირვალობის საკითხებს შეისწავლის. დიდი ალბათობით რამდენიმე საქმე შესაძლებელია სისხლის სამართლებრივი დევნის მოტივიც გახდეს. ერთ-ერთი ინფორმაციით, თორდიას ის ავტომანქანებიც ამოუვარდება, რომლითაც დეპუტატი პალიკო კუბლაშვილი სარგებლობს და ჯერ კიდევ აუდიტის სამსახურის ბალანსზეა. გამოდის, კუბლაშვილს თორდიამ პირად სარგებლობაში აუდიტის სამსახურის მანქანები ათხოვა?! ჯერ კიდევ არჩევნებამდე რეფორმირებულ კონტროლის პალატას, მეტი ნდობისა და მხარდაჭერის ნიშნად, ნაციონალებმა ლაშა თორდია ჩაუყენეს სათავეში. თორდია კი ეცადა, მიუკერძოებელი აუდიტის იმიჯი შეექმნა, მაგრამ ნაციონალი დეპუტატისთვის მანქანის თხოვება არ დაენანა ისევე, როგორც სხვა მეგობრებისთვის პირადი საჩუქრები. ამბობენ, რომ პატიოსანი ბიუროკრატის იმიჯის შესაქმნელად სიდედრის ბინაშიც კი გადაბარგდაო, თუმცა ურთიერთობა აქაც დაძაბვია.

პირადი პრობლემები „ვერსიის“ ინტერესის სფერო ნამდვილად არ არის, თუმცა ყოფილი კონტროლის პალატის სეიფებში რომ ასობით საქმე დევს, რომელიც ყოფილი ჩინოვნიკების კორუფციულ სქემებსა და ბიუჯეტის გაფლანგვის ფაქტებს ეხება, ეს ფაქტია. სავარაუდოდ, სწორედ ამ საქმეების „ლობირების“ მიზნით შეარჩიეს ლაშა თორდიას კანდიდატურა 2012 წლის არჩევნებში დამარცხებულმა ნაციონალებმა, თუმცა ახლა უკვე საფრთხე თავად თორდიას ემუქრება და რამდენად შეძლებს პარტიული მეგობრების დაცვას, ძნელი სათქმელია.

ეკა სეხნიაშვილი

უჩა ნანუაშვილისა და ვანო მერაბიშვილის საუბრის სკანდალური დეტალები

რუსუდან შელია
557-100-768

ვანო მერაბიშვილი ზეწოლაზე საუბრობს. საქართველოს ციხეებში მყოფი პატიმრები კი საქმეების ხელახლა გადახედვის მოთხოვნით შიმშილობენ. რა ხდება პენიტენციალურ სისტემაში და რატომ ემხრობა მოშიმშილე მსჯავრდებულების მოთხოვნებს სახალხო დამცველი? უჩა ნანუაშვილი „ვერსიის“ კითხვებს პასუხობს და ვანო მერაბიშვილთან შეხვედრის დეტალებსაც გვიმხელს.

— ვანო მერაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყოფილი პრემიერის განცხადების საფუძველზე გამოძიება უნდა დაიწყოს. მან დაწვრილებით აღწერა, როგორ გაიტაცეს ციხიდან და რა პირობებში შეხვდა მთავარ პროკურორს. აღნიშნა, გაოცებული ვარ, ამ ხნის განმავლობაში პროკურატურას ჩემი განცხადების შესწავლა არ დაუწყიაო და ისიც მითხრა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადაა.

— ვანო მერაბიშვილს გატაცებასთან დაკავშირებით თქვენთვის ახალი დეტალები არ გაუმხელია?

— მითხრა, იმ ადამიანების ამოცნობა შეუძლია, რომლებმაც ციხიდან გაიყვანეს.

— ამას როგორ მოახერხებს, როცა მისი თქმით, თავზე მოსასხამი გადააფარეს?

— თავზე მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ჩამოფარებული და საქმეში მონაწილე პირების სახის დანახვა მოასწრო.

— თაკო სალაყაია აცხადებს, რომ ახალი პროკურორის დანიშვნის შემდეგ მეუღლის ნახვის საშუალება არ ეძლევა. ეს გადაწყვეტილება კანონიერია?

— კანონის მიხედვით, ბრალდებულთან ოჯახის წევრების დაშვების გადაწყვეტილება პროკურორმა უნდა მიიღოს. ამ შემთხვევაში, კანონდარღვევასთან საქმე არ გვაქვს, რადგან მერაბიშვილი ბრალდებულია და მას ჯერ სასჯელი არ აქვს შეფარდებული.

— მერაბიშვილმა ციხეში არსებულ პირობებთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიები გამოთქვა?

— პირობების მხრივ არაფერს უჩივის, თავს ნორმალურად გრძნობს და ამ მხრივ პრეტენზიებიც არ გააჩნია. მხოლოდ ორ საკითხზე დაიჩივლა: მისთვის გაუგებარია, რატომ ტარდება პროცესები ქუთაისში, სადაც საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევს და როდის დაიწყებს პროკურატურა მის განცხადებაზე მოკვლევას.

— გამოძიების დაწყებას თქვენც ითხოვთ. კონკრეტულად, რომელმა უწყებამ უნდა დაიწყოს საქმის შესწავლა?

— ხელისუფლებისგან კიდევ ერთხელ მოვითხოვთ ვანო მერაბიშვილის ბრალდებების დაუყოვნებლივ გამოძიებას. მიმაჩნია, რომ ამ საკითხის გამოძიებით გენერალური ინსპექცია არ უნდა დაკავდეს. საკმაოდ სერიოზული ბრალდებები გაჟღერდა. ის მთავარ პროკურორს უჩივის, ამიტომ გამოძიება პროკურატურაში ნეიტრალურმა პირმა ან შსს-მ უნდა აწარმოოს.

— გეგუთის ციხეში 1000-ზე მეტი პატიმარი შიმშილობს. ისინი საქმეების გადახედვას მოითხოვენ, მათი მოთხოვნები სამართლიანია?

— სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გეგუთში მოშიმშილე პატიმრები უკვე მოინახულეს. მათი ძირითადი მოთხოვნა საქმეების ინდივიდუალური გადახედვა და მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაა, რაც სამართლიანია. ქვეყანაში უნდა გამოინახოს მექანიზმი, რომლის მეშვეობით განაჩენები გადაიხედება. არ აქვს მნიშვნელობა, ხარვეზების დამდგენი კომისია იქნება თუ სხვა.

— სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ეს გარედანმართული პროცესია. მინისტრმა მინიშნება უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეზეც გააკეთა...

— ჩემთვის გაუგებარია, ვის მიერაა მართული ციხეში პატიმრების შიმშილობა, თუმცა ფაქტია, მსჯავრდებულებში პროტესტი არსებობს და ამას უკიდურესი ფორმებით გამოხატავენ. პოლიტიკური განცხადებებისგან თავს შევიკავებ და, თუ რეალურად არსებობს ეჭვი, რომ პატიმრების წახალისება ხდება, ამ მიმართულებით მოკვლევა უნდა ჩატარდეს.

— ზოგადად, რამდენად ახერხებს სამინისტრო ციხეებში ვითარების გაკონტროლებას? უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორი პატიმარი სხვა მსჯავრდებულების შურისძიების მსხვერპლი გახდა.

— პენიტენციალურ სისტემაში მრავალი პრობლემაა, თუმცა ეს არ მაძლევს საფუძველს ვთქვა, რომ ციხეებში საგანგაშო მდგომარეობაა. პრობლემები არსებობს ჯანდაცვის მიმართულებით — ხელმისაწვდომი არაა სათანადო მკურნალობა და გარკვეულ მედიკამენტებზე დეფიციტი ფიქსირდება. აპარატში სასჯელაღსრულების შვიდი დაწესებულების მსჯავრდებულმა განცხადება შემოიტანა, რომ ციხეებში ფანჯრების შეცვლა იგეგმება, რომელთა გაღებაც შეუძლებელი იქნება. ადგილზე შევისწავლეთ ვითარება, ფანჯრების შეცვლის სამუშაოები მართლაც დაწყებულია, ჩაყენებულია კონდიცირების მილები, რომლებიც მომავალში ვენტილაციას უზრუნველყოფს. დაწესებულების დირექტორმაც დაადასტურა, რომ დამონტაჟებული ფანჯრების გაღება შეუძლებელი იქნება, ამიტომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ სოზარ სუბარს რეკომენდაციით მივმართეთ, ამ დაწესებულებებში საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ფანჯრების დაყენება უზრუნველყოს, რომლებიც საკნების განათებასთან ერთად, ბუნებრივი ვენტილაციისთვისაც საჭიროა.

— რამდენიმე დღის წინ სოზარ სუბარს კიდევ ერთი პატიმრის ცემასთან დაკავშირებით გაუგზავნეთ მიმართვა. უწყება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ადეკვატურად პასუხობს?

— სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეშვიდე დაწესებულების ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა გვითხრა, რომ 7 დეკემბერს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სცემეს. იმ დღეს მას დაწესებულების თანამშრომელ გიორგისთან უმნიშვნელო შელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც საკნიდან ადმინისტრაციის ერთ-ერთ ოთახში გაიყვანეს, სადაც დაწესებულების დირექტორი შოთა ტრაპაიძე და მისი ორი მოადგილე იმყოფებოდა. მსჯავრდებული აცხადებს, 5 წუთის განმავლობაში დირექტორის მოადგილეები და სხვა თანამშრომლები სცემდნენ, ფეხებსა და წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლებს ურტყამდნენ, ხოლო როცა საკანში მიჰყავდათ, დერეფნის გავლისას ცემის ამბავი სხვა პატიმრებს შეატყობინა, რის შემდეგაც ადმინისტრაციის ოთახში დააბრუნეს, ხელბორკილი დაადეს და კვლავ სცემეს. მანამდე დაფიქსირდა 2 პატიმრის გარდაცვალების ფაქტი, თუმცა ორივეზე გამოძიება სწრაფად დაიწყო.

— უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ციხეებში „ობშჩიაკისა“ და „მაყურებლის“ პრობლემა არსებობს. რა კეთდება ამის აღმოსაფხვრელად?

— ნებისმიერ მსგავს შემთხვევაზე სწრაფი რეაგირება უნდა მოხდეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამინისტრო ამ მიმართულებით ადეკვატურ ღონისძიებებს ატარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მსგავსი ფაქტების წახალისება მოხდა, ისინი უფრო დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

გიგი მესვეტე

ჰოოო... ისე არ აეწყო ცხოვრება, როგორც წარმომედგინა. აბა, სხვა რა უნდა ვთქვა, როცა 30 წლის, ორდიპლომიან კაცს ჯიბეში მხოლოდ მეტროს ორი ჟეტონი, ორი კოლოფი სიგარეტი „ასტრა“ და სამი სანთლის ფული გაქვს... 16 წლის წინ მოხდა ეს ამბავი. კარგი სამსახურის შოვნის შანსი გავუშვი ხელიდან, მაგრამ არასოდეს მინანია, არც ახლა ვნანობ. მახსენდება და მეცინება. ინსტიტუტის ყოფილი პარტკომი შემხვდა ეკლესიაში, ჩემი ყოფილი დეკანი... თუმცა, თავიდან მოვყვები, ასე ჯობს.

ერთი შეხვედრის ისტორია

კოტე მახარაშვილის მამამ, ავთო ძიამ, ნიჩბისში კაი ასკილოიან ღორს სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუტანა — დაკვლა. რომ ჩავედით, განაჩენი უკვე სისრულეში იყო მოყვანილი. ამის გამო პროტესტი არავის გამოუთქვამს და სუფრას შემოვუსხედით. თბილისიდან ჩასული სტუმრები სულ ხუთნი ვიყავით — თემო, ვაჟა, ჯოჯო და მე. კოტე იქ დაგვხვდა და არც ეთქმოდა სტუმარი — ბოლო-ბოლო, ის ღორი ლამის მის თვალწინ იყო გაზრდილი და სულიც მის ხელში დალია.

გვარიანად მოვულხინეთ. შუაღამე იყო გადასული, როცა წამოვიშალეთ. სუფრას დავხედე (ასე გენერლები დაჰყურებენ რუკებს) — მწვადი ბევრი და კარგი, ღვინო ბევრი და კარგი. მიმოვიხედე — დიდებული მასპინძლები. გარეთ გავიხედე — ცვივა თოვლის ფანტელი...

მოკლედ, მე და ვაჟამ დარჩენა გადავწყვიტეთ. „მე არ გავალ ქუჩაშია, სანამ ღვინო შუშაშია“ — ვაჟას საყვარელი სიტყვებია და რომ ვთქვა, ეს სიტყვები მძულს-მეთქი, მაინც არავინ დამიჯერებს. დავრჩით და ბევრი რომ არ გავაგრძელო, სამი დღე გადავაბით. მეოთხე დღეს როგორც იქნა (სინდისიც კაი საქონელია), გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და თბილისისკენ დავიძარით გაქონილები, მოსუქებულები, გაუპარსავები, ღამენათევები, თმებში ბოლის სუნი აგვდიოდა, ბომჟებს ვგავდით. 19 დეკემბერი იყო, ნიკოლოზობა — ვაჟა ერაძის დაბადების დღე. ჩვენი სამეგობროსთვის 19 დეკემბერი ნიკოლოზობაც არის და ვაჟაობაც. ამ დღეს ყოველთვის ვაჟა ერაძის ოჯახში ვიკრიბებით.

მოვილაპარაკეთ, რომ საღამოსთვის მეტ-ნაკლებად ადამიანურ იერს მივიღებდით. მრავალფეროვნების გამო, თორემ სიმართლე გითხრათ, ბომჟობამდე ბევრი არაფერი გვაკლდა.

მივედი სახლში, ვიბანავე, გავიპარსე, ვიპკურე ოდეკოლონი, ჩავიცვი კოსტუმი (შარვალ-კოსტუმსაც რომ ეძახიან), გავიკეთე ჰალსტუხი, შემოვიცვი ჩალისფერი დუბლიონკა, მოვიხვიე თეთრი შარფი, მოვირგე „რეიბანები“ და გავუდექი გზას. მარშრუტი იყო ასეთი: ვაშლიჯვრიდან ფეხით მეტრო „დიდუბეში“, მერე, ასევე, ფეხით — მეტრო „მარჯანიშვილიდან“ ვორონცოვზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, უკანვე (კვლავ ფეხით) — „მარჯანიშვილში“, მეტრო „ახმეტელის თეატრიდან“ (ფეხით, რა თქმა უნდა) — მუხიანში, ერაძეებთან.

როგორც იქნა, მივაღწიე ეკლესიამდე, დავანთე სანთლები. უკვე წამოსვლას ვაპირებ და, რას ხედავს ჩემი თვალები — წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატთან ჩემი ყოფილი დეკანი, ინსტიტუტის ყოფილი პარტკომი დგას, დაუკავებია დიდი კელაპტარი და ხატს შესცქერის. პარტკომი ხატს შესცქერის, მე პარტკომს ვათვალიერებ და ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი სტუდენტური ეპიზოდი მახსენდება, ის რომ პარტკომი იყო, ხოლო მე — ექსტრემისტი. მეთქი, მორჩება ლოცვას და ნიშანს მოვუგებ — „ჰა, შე გალსტუკიანო, გაგახსენდა ღმერთი?“ მაგრამ, ისე მოხდა, რომ ახლა ჰალსტუხით მე ვარ, იმას კი ჯინსის ქურთუკი აცვია და საწყლად გამოიყურება. არც ძალიან, ისე — საშუალოდ საწყლად. ამ დროს შემამჩნია, მომესალმა, ხელით მანიშნა არ წახვიდეო, სანთელი შანდალში ჩაამაგრა და ჩემთან მოვიდა.

— გილოცავ, — თან, ვხვდები, ჩემს სახელს იხსენებს.

— მეც გილოცავთ.

— როგორ ხარ, რას საქმიანობ?

აქ კი, ცოტა შევყოვნდი. ეკლესიაში კი ვარ, მაგრამ ისეთი ვიღაცაა და ისეთ რაღაცას მეკითხება, რომ სიმართლის თქმა გამორიცხულია.

26 წლისა უკვე დეკანის მოადგილე იყო, 27 წლისამ დეკანის კაბინეტი დაიკავა, ოთხი წლის შემდეგ ინსტიტუტის პარტკომი გახდა, ცეკაში გადასვლას და რომელიმე სერიოზული განყოფილების (მაგ. იდეოლოგიის დარგში) ჩაბარებას, ალბათ, სადღაც 33 წლის ასაკში გეგმავდა. 33 წელი 1990 წელს შეუსრულდა და მისი პარტიული კარიერაც დასრულდა. სხვა კარიერა ვერც წარმოედგინა. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა — 50 წლისას ოპერაში იუბილეს გადაუხდიდნენ, თეთრ ნაბადს მოასხამდნენ, ჭედილას აჩუქებდნენ და მერე, კიდევ 50 წლის შემდეგ, მასზე დაიწერებოდა ნეკროლოგი - „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, „ამაგდარი“, „კვალი ნათელი“ და ა.შ.

არ დასცალდა, ეროვნულმა მოძრაობამ მოუსწრო, უფრო სწორად — მივუსწარით და პირადმერკანტილური გეგმები ჩავუშალეთ.

ახლა, დგას და, როგორ ხარ, რას საქმიანობო — მეკითხება. ვიცი, რომ თვითონ უმუშევარია, რაღაც-რაღაც ბიზნესები კი აქვს, წილებსაც ფლობს, არ შია და არ სწყურია, მაგრამ თანამდებობა, კაბინეტი, პირადი მძღოლი, მდივანი და დაცვა მაინც სულ სხვაა, სტატუსია და მის გარეშე საკუთარ წრეში სასურველი გონორი არ აქვს. ამიტომაც არის, საწყლად რომ გამოიყურება, თორემ ჯინსის ქურთუკი არაფერ შუაშია. წამში გამიელვა: ახლა, ამას რომ ვუთხრა, რომ ვარ უმუშევარი, უპერსპექტივო, უფულო... ისეთი გაზმანული ვარ, მაინც არ დამიჯერებს და თუ მაინც დავაჯერებ, მასხარად ამიგდებს — ეგეც თქვენი ეროვნული მოძრაობა, ეგეც თქვენი მერაბ კოსტავა, ეგეც თქვენი დამოუკიდებლობა, ეგეც თქვენი „რედ ერმი გოუ ჰოუმ“!

ის ჯინსებშია, მე კი კოსტუმ-ჰალსტუხით და დუბლიონკით დავიბღინძები...

როგორ ხარ, რას საქმიანობო... რა ვქნა? რა ვუთხრა?

და, დავიწყე. ვუთხარი, რომ საოფისე ფართები მაქვს გაქირავებული ვერაზე, ვაკეში და საბურთალოზე (უძრავი ქონება მაინც სულ სხვაა!), რამდენიმე უცხოური კომპანიისა და ერთ-ერთი მინისტრის მრჩეველი ვარ, არ არის გამორიცხული, მომავალ არჩევნებში პარლამენტის წევრიც გავხდე. რომელი პარტიიდან? რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირიდან. სხვა პარტიიდან რომ ვიყარო კენჭი, ბატონ ედუარდს ეწყინება.

დსთ-ს სამიტებიც გავიხსენე, რომელიღაც ქვეყნის პრემიერი სახელით მოვიხსენიე... გავუბერე და გავიჯეჯილე. მისმინა, მისმინა და... ეჰო, ხელი ჩაიქნია და წავიდა. ეწყინა.

ცუდად გამომივიდა. ტყუილი რა საკადრისია, თანაც ეკლესიაში, ნიკოლოზობა დღეს! მაგრამ, სხვა გზაც რომ არ მქონდა?

იმისთვის აღარ მიკითხავს, როგორ ხარ მეთქი. ვიცოდი, კარგად იყო და თავი ცუდად ეგონა.

სახლში გვიან დავბრუნდი. ნახევარი კოლოფი „ასტრა“ კიდევ მქონდა. მუნდშტუკიც. მთავარი ახლა იწყება. ორი თუ სამი თვის შემდეგ ჩემი ყოფილი დეკანი, ანუ ინსტიტუტის ყოფილი პარტკომი მინისტრად დაინიშნა. ბიოგრაფია გამოგვიცხადეს, ქვეყნის წინაშე მისი დამსახურებები ჩამოთვალეს... ყველაფერი ისევ იქით მიდიოდა — თეთრი ნაბადი, ჭედილა და კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.

— მიდი, ნახე, იქნებ რამე სამსახური გიშოვნოს, — რომანტიკოსი დედაჩემის რჩევები ყოველთვის საქმიანი და პრაქტიკულია.

რა მჭირს მაგასთან მისასვლელი — საოფისე ფართები მაქვს გაქირავებული ვერაზე, ვაკეში და საბურთალოზე (უძრავი ქონება მაინც სულ სხვაა!), რამდენიმე უცხოური კომპანიისა და ერთ-ერთი მინისტრის მრჩეველი ვარ. მომავალ არჩევნებში პარლამენტის წევრი უნდა გავხდე. რომელი პარტიიდან? რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირიდან. სხვა პარტიიდან რომ ვიყარო კენჭი, ბატონ ედუარდს ეწყინება... ბევრი ვიცინეთ მე, დედაჩემმა და მამაჩემმა. სხვებიც ვაცინე და, ახლაც, რომ მახსენდება, სიცილს ვერ ვიკავებ.

P.S. რამდენიმე წლის შემდეგ ბატონ მინისტრს მეგობრის ქორწილში შევხვდი. აღარ მოიკითხა. რაში აინტერესებდა?

რის თქმას აპირებს ბიზნესმენი ნაზი ალასანია ირაკლი ღარიბაშვილისთვის?!

საქმეში რისკიანი ქალბატონი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ბიზნესზე ზეწოლაში ამხელდა. იცნობენ, როგორც „მიმწოლს“ და „შემტევს“ — ბიზნესმენი ნაზი ალასანია, რომელმაც პირველმა გაუბედა ივანიშვილს ბიზნესმენების ოფიციალურ შეხვედრაზე ტელეკამერების წინ სიმართლის თქმა. ამჯერადაც მას ბიზნესისა და მთავრობის ურთიერთობებზე საკუთარი შეხედულებები აქვს. ფაქტია, რომ დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვის გამო დაიმსახურა მკითხველის შეფასებით, წლის რისკიანი ბიზნესმენი ქალის ტიტული, რომელიც ღარიბაშვილის მთავრობასაც რჩევებს აძლევს.

— შემტევი და მიმწოლი ვარ მაშინ, როცა საქმე სამართლიანობას ეხება. ჩემი ხასიათი ბიზნესში ჩემი მთავარი „კრიშაა“. შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, ბიზნესში ვარ და ჩემი საქმე პიროვნებებზე არასოდეს ამიწყვია. მთავრობები მიდიან და მოდიან, ჩემი ლობი კი ბიზნესში ჩემი გამჭვირვალე საქმიანობაა. არ ვარ პოლიტიკასთან დაკავშირებული — ბიზნესში ვარ და ვცდილობ, ხალხს დავეხმარო. ახლაც თქვენი გაზეთი რომ გამოვა, სწორედ იმ დღეს მინდა სოციალურად შეჭირვებულ, უსახლკარო მიუსაფარებს, რომლებიც კარვებში არიან შეხიზნულები, მოწიწებული საჩუქრები გადავცე და წინასაახალწლოდ კარვებში ვეწვიო.

რაც შეეხება 2013 წელს, იმედიანი წელი იყო, რომელმაც ჩვენს სფეროში მოღვაწე ადამიანებს ბიზნესის კეთების სურვილი დაუბრუნა. ბიზნესს როცა აკეთებ, თავისუფალი უნდა იყო. ვისთანაც ვპარტნიორობდი, ისინიც შებოჭილები იყვნენ. გარდამავალ პერიოდში ბიზნესის შენარჩუნებისა და სუფთად მუშაობის საკითხი მუდმივად მტკივნეულად დგას. არ მივეკუთვნები იმ ბიზნესმენების კატეგორიას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ბიზნესში ვითარება ერთიხელისმოსმით რეგულირდება — აქ მთავარი კომპონენტი თავისუფლებაა. როცა ბიზნესს მარწუხებში არ აქცევ, იქ ჩნდება ახალი იდეებიც და მათი განხორციელების საშუალებებიც.

— ანუ სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა და ბიზნესი გათავისუფლდა?

— ვიტყოდი, ბიზნესი გათავისუფლდა სახელმწიფო პოლიტიკისგან და ადრე არსებული წნეხისგან, რაც ყველაფერს შეეტყო. მართალია, ახლა ამბობენ — ის არ გაკეთდა, ეს არ შესრულდაო, მაგრამ ერთი წელი ძალიან ცოტაა, ვითარების გამოსწორება მკაფიო გახდეს. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი წესრიგშია. ჯერაც არის საკადრო პოლიტიკაში ხარვეზები, ჯერ კიდევ არიან „წურბელები“, რომლებმაც უნდა მოიშორონ მანკიერი ბიუროკრატიული ჩვევები. ბიზნესშიც არიან „მედროვეები“, ყველამ ვიცით და სახელებსა და გვარებს ნუ ჩამომათვლევინებთ, განსაკუთრებით მსხვილ ბიზნესში. ისინი მუდმივად ყველასა და ყველაფერს ერგებიან და ცდილობენ, ჩვენნაირი სუფთა და და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მეორე პლანზე გადაწიონ. სხვათა შორის, ჩვენი „დაბლოკვის“ მცდელობა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესმენებთან შეხვედრის დროსაც იყო, ახლაცაა ჩრდილში ჩვენი მოქცევის სურვილი და იცით, რატომ? — ივანიშვილამდე, ღარიბაშვილამდე და ა.შ. მთავრობის პირველ პირებამდე, რეალური ფონი და ვითარება არ მიიტანონ, ვფიქრობ, მთავრობამ, ახალმა პრემიერმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საშუალო ბიზნესის განვითარებას. შევხვდები თუ არა, ღარიბაშვილს მაშინვე ვეტყვი. საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს უნდა მოუსმინონ მთავრობის მაღალჩინოსნებმა, რჩევები გაითვალისწინონ. პირველივე შეხვედრაზე ბატონ ბიძინასთანაც პირდაპირ დავსვი საკითხი, რომ საშუალო ბიზნესს სჭირდება დახმარება, რაც დღესაც აქტუალურია.

ინგლისის საინვესტიციო ფონდი, ვისთანაც პარტნიორობა გვაქვს, სწორედ ჩემნაირი კალიბრის ბიზნესით ინტერესდება. სხვათა შორის, როცა მთავრობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნო ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განსაკუთრებული თანადგომა. უხარისხო ბიტუმის შემოტანასთან დაკავშირებით მან მყისიერი რეაგირება მოახდინა ჩვენს რჩევებზე და ამჯერად, გზა ხარისხიანი მასალით იგება. გარდა ამ სფეროში ჩემი ბიზნესდივიდენდებისა, 2014 წელს უამრავი იდეა და ბიზნესგეგმა მაქვს და ჯერ მათი გამხელისგან თავს შევიკავებ, თუმცა განხორციელების პარალელურად, ეტაპობრივად, თქვენს მკითხველსაც გავაცნობთ.

ეკა სეხნიაშვილი

გიგი უგულავას სკანდალური საქმე — ნაციონალებისა და „ოცნების“ პოლიტიკური თამაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის მერს, გიგი უგულავას ბრალი უკვე წაუყენეს. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, 48 000 000 ლარის გაფლანგვას ედავება. საუბარია, თბილისის განვითარების ფონდისთვის, დედაქალაქის რეაბილიტაცია-განვითარებისთვის, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაზე. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, უგულავასა და მერიის სხვა მაღალჩინოსნებს 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ეს თანხა თბილისის განვითარების ნაცვლად, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მოხმარდა. თბილისის მერი კი ხაზს უსვამს, რომ ეს პირადად ბიძინა ივანიშვილის შურისძიებაა, თუმცა არსებობს ვერსია, რომ თბილისის მერიის მაღალჩინოსნების სკანდალური საქმე ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის პოლიტიკური ვაჭრობის საგანია.

ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის საქართველოში ვიზიტის პარალელურად, 2013 წლის 27 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, თბილისის მერიისა და გამგეობის 30-მდე თანამშრომელი დააკავეს. ბრალის ოფიციალურად წაყენებისა და დაკითხვის შემდეგ კი, გაათავისუფლეს. „ვერსიამ“ მაშინ ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატარა და გამოძიების ექსკლუზიური მასალებიც მოიპოვა, სადაც ჩანდა, როგორ აკეთებდნენ უგულავას ქვისლი და სააკაშვილის მეგობარი ბიზნესმენი მილიონებს თბილისის განვითარების ფონდის საშუალებით.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქმე ეხება თბილისის განვითარების ფონდს, რომელიც მერიის მიერ ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაციის მიზნით, 2010 წლის 16 ივლისს დაფუძნდა და ცენტრალურთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. გამოძიებამ თბილისის ბიუჯეტის კუთვნილი 48 930 822 ლარის მითვისება-გაფლანგვის სამი ეპიზოდი შეისწავლა — ფონდიდან, სახელფასო პლასტიკური ბარათების საშუალებით, 13 852 497 ლარის გაფლანგვა; ფონდის საბანკო ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის სახით, 34 000 000 ლარის მითვისება და არამიზნობრივად, ე.წ. ფურშეტებსა და ნაციონალების პარტიული ღონისძიებების ორგანიზებისთვის 719 862 ლარის გახარჯვა.

ძველი თბილისის უბნების რეაბილიტაციის მიზნით, ფონდის საშუალებით აღადგინეს მეიდანი, მეტეხი, რიყე, აღმაშენებლის გამზირი. უგულავამ თბილისის განვითარების ფონდს უძრავი ქონებაც გადასცა, მაგალითად, პუშკინის ქუჩასა და აღმაშენებლის მოედანზე მდებარე ისტორიული შენობები, ასევე, კოტეჯი დაბა წყნეთში. ფონდმა ქონება სხვადასხვა პირზე, მათ შორის, უგულავას ცოლისდის ქმარზე გაყიდა. საინტერესოა, რიყის რეაბილიტაციის პროექტი, რასაც 2005 წელს იქ განთავსებული რესტორნები „შეეწირა“. 2006 წელს, მერიამ რიყის ტერიტორია 7 000 000 000 აშშ დოლარად, შპს „ახალ რიყეს“ განვადებით მიყიდა. „ახალი რიყის“ 100%-იანი წილის მფლობელი, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია „ჯი ემ სი ჰოლდინგია“, დირექტორი კი ლევან ყარამანაშვილია, სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის, რეზო შარანგიას დისქმარი.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე, თბილისის მერის მოადგილე, დავით ალავიძე ფიგურირებს. 2012 წლის სექტემბერში, თბილისის ვიცე-მერმა, ნაციონალების პარტიულ ყრილობაზე, 150 000 ლარით დააფინანსა აქტივისტების ყვითელი მიკროავტობუსებით მგზავრობა ზუგდიდში. გამოძიების მასალებით დასტურდება, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ, 2012 წლის სექტემბერში, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის, 126 900 ლარის საწვავი გამოიყენა, რომლის დეკლარირებაც, კანონით დადგენილი წესით არ განახორციელა...

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდებით, ძველი თბილისის რაიონის ექსგამგებელი, ლაშა ფურცხვანიძე და მისი ყოფილი მოადგილე, კობა ხარშილაძე დააკავეს. მათ, 2007 წლის 1 მაისს, ნაცნობების — მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძისა და კობა ყორღანაშვილის საშუალებით, დააფუძნეს შპს „გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც თავად იყვნენ. 2010 წლის 16 ნოემბერს, რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100%-იანი წილი. წილების ოფიციალურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს, ლაშა ფურცხვანიძემ და კობა ხარშილაძემ, შპს „გრინსერვისის“ საშუალებით, 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით, უკანონო შემოსავლების „გათეთრება“ სამ ეტაპად განახორციელეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 337-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას, 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს. ლაშა ფურცხვანიძე და კობა ხარშილაძე, 400-400 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. უგულავას ბრალი ოფიციალურად წაუყენეს, მაგრამ ჩნდება ეჭვი, რომ თბილისის მერს, ნაციონალები და ქართული ოცნების მაღალჩინოსნები, პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებენ. „გრინსერვისის“ სკანდალი თავად ნაციონალებმა ჯერ კიდევ მაშინ გაახმაურეს, როცა „ოცნება“ ოპოზიციაში იყო. მაშინ უგულავას საპრეზიდენტო ამბიციები ჩააცხრეს და მას ადგილი მიუჩინეს. მოგვიანებით, ეს საქმე ქართულმა ოცნებამ ესტაფეტასავით გადაიბარა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მაშინდელმა უფროსმა ოთარ ფარცხალაძემ თბილისის მერიის მაღალჩინოსნების მიერ, ბიუჯეტიდან გაფლანგული 48 000 000 ლარის სკანდალიც დაურთო და მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. ლოგიკურად, მაშინ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს, უგულავასთან ერთად, სააკაშვილიც უნდა დაეკითხა. კბილაშვილმა გამოძიების დასრულება ვერ მოახერხა და სასამართლომ 30-ვე დაკავებული მაღალჩინოსანი დარბაზიდან გაათავისუფლა. მთავარ პროკურორად ფარცხალაძის მოსვლის შემდეგ კი, მერიის მაღალჩინოსნების საქმე გააქტიურდა, ოღონდ არავის უკითხავს, რატომ დაიჭირეს ეს ხალხი, ან რის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ „გრინსერვისისა“ და მერიის მაღალჩინოსნების სკანდალური საქმეების აგორებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, „ოცნება“ უგულავას პოზიციებს დაათმობინებს, ან უგულავას ფაქტორს, ნაციონალ მაღალჩინოსნებთან, პოლიტიკური ვაჭრობისთვის გამოიყენებს.

გიორგი გიორგაძე

შპს „ოლიას“ საქმე

ნაციონალური კოლექტივიზაციის მსხვერპლი ირინა ვაჭარაძე დახმარებას დავით უსუფაშვილს სთხოვს

ირინა ვაჭარაძე, სხვა ბიზნესმენების მსგავსად, ე.წ. ნაციონალური კოლექტივიზაციის მსხვერპლია. ქართული ანდაზაა, ქათამმა თქვა, ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ღორი დაკლეს, ზედ წამაკლესო. შპს „ოლიასაც“ ასე დაემართა — სააკაშვილის ხელისუფლება ირინა ვაჭარაძით მხოლოდ იმიტომ დაინტერესდა, რომ სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ავეჯის სახლ „საბას“ მფლობელის, პაატა კაჭარავას თანამესაკუთრე იყო, რომელიც 2006 წლის ზაფხულში დაიჭირეს და ერისთავის 8 ნომერში მდებარე ლამის 8 ათასი კვ/მ-ის შენობა-ნაგებობის სახელმწიფოსთვის ჩუქებას აიძულებდნენ. კაჭარავა თანამესაკუთრე ვაჭარაძის თანხმობის გარეშე სახელმწიფოს ვერაფერს აჩუქებდა, ჰოდა, კეზერაშვილის ამფსონებმა შპს „ოლიას“ ხელმძღვანელის „დამუშავება“ გადაწყვიტეს.

— 2006 წლის 11 აგვისტოს, დილით, სამსახურთან, ავტომანქანით უცნობი ადამიანები დამხვდნენ. მათ გვერდით სს „თბილელექტროაპარატის“ ბუღალტერი იყო, რომელმაც მითხრა, ეს პაატა კაჭარავას ეხება და ფინანსურ პოლიციაში უნდა წამოხვიდეთო.

— იცოდით, რომ კაჭარავა დაპატიმრებული იყო?

— გაგონილი მქონდა, თუმცა სიმართლე გითხრათ, დეტალებით არ დავინტერესებულვარ... მოკლედ, ფინანსურ პოლიციაში ხმისამოუღებლად წავედი, რადგან პაატა უწესიერესი ადამიანია და, სხვათა შორის, თავის დროზე, როცა მისი ქონების თანამესაკუთრე გავხდი, ჩემი ფართი არ გამიმიჯნავს... ფინანსურ პოლიციაში კონსტანტინე ყიფიანის ოთახში შემიყვანეს, სადაც ფინანსური პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომელი დაგვხვდა. ყიფიანმა მითხრა, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული ფართი სახელმწიფოსთვის უნდა მეჩუქებინა. კატეგორიული უარი განვაცხადე, რისთვისაც მთელი ცხოვრება მიშრომია, ხელის ერთი მოწერით არ გავაჩუქებ-მეთქი.

— ამ დროს პაატა კაჭარავას თავისი ქონება სახელმწიფოსთვის უკვე ნაჩუქარი ჰქონდა?

— არა, ჩემს გარეშე ვერ ჩუქნიდა — არ ვიცი, ახლა როგორაა, მაგრამ მაშინდელი კანონით, თუ თანამესაკუთრე თანახმა არ იქნებოდა, მესაკუთრე ქონებას ვერ გააჩუქებდა. ყიფიანმა შემომთავაზა, ხელი იმაზე მაინც მოგვიწერეთ, რომ ბატონმა პაატამ თავისი ქონება გააჩუქოსო.

— ასე ზრდილობიანად გელაპარაკებოდნენ?

— თავიდან ზრდილობიანად დაიწყეს, მერე ტონი შეცვალეს და ყვირილზე გადავიდნენ. ვუთხარი, ქონებას არ გაჩუქებთ, თუ გინდათ, ბორკილები დამადეთ და ციხეში წამიყვანეთ, იმედია, ქალების ციხე კაცებისაზე უკეთესია-მეთქი... მემუქრებოდნენ, რომ ჩემს ახლობლებს სამსახურებიდან გაათავისუფლებდნენ. ბოლოს, არქიტექტორები დაიბარეს...

— ყველაფერი ეს ერთ დღეში ხდებოდა?

— დიახ. როგორც მერე შევიტყვე, ბატონი პაატა ამბობდა, თუ დღეს ციხიდან არ გავალ, ხვალ ჩემი ადვოკატი მინდობილობას ვეღარ გამოიყენებსო... კეზერაშვილი პირადად არ მინახავს, მაგრამ ვიღაც რეკავდა ხოლმე და კოტე ყიფიანი ტკბილად პასუხობდა, ბატონო დავითო...

— ქალბატონო ირინა, ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენეს?

— არა.

— ადვოკატი არ მოითხოვეთ?

— მივხვდი, რომ ადვოკატს არავინ შემომიყვანდა... მოკლედ, ჩემგან დიდ წინააღმდეგობას რომ შეხვდნენ, არქიტექტორები მოიყვანეს.

— საიდან და რა მიზნით?

— როგორც ჩანს, ეს არქიტექტორები შპს-ს თანამშრომლები იყვნენ — ტელეფონით საუბრისას ყიფიანმა უთხრა, დროზე მოდითო. არქიტექტორებმა უპასუხეს, დაგვაგვიანდებაო, ყიფიანი კი დაემუქრა, მარჯანიშვილიდან რა დროც დაგჭირდებათ, მარტო იმ დროს გაძლევთ, თორემ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხომ ხართ, მართლა შეგზღუდავთო. არქიტექტორები, როგორც იქნა, მოვიდნენ და თქვეს, შენობის გამიჯვნა შესაძლებელია, მაგრამ საამისოდ სპეციალური აზომვითი ნახაზებია საჭირო, რაც დღეს ვერ მოესწრებაო. შევატყვე, უნდოდათ, ყველაფერი იმ დღეს დამთავრებულიყო და ამიტომ ჩქარობდნენ. სხვათა შორის, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელს, რომელსაც საჩუქარი უნდა მიეღო, დაწერილი ჰქონდა, რომ სახელმწიფოს საჩუქრად 56 ათასი კვადრატული მეტრი გადაეცემოდა ანუ ვიდრე ნოტარიუსთან არ მივიდნენ, არ იცოდნენ, რომ ამ ფართის თანამესაკუთრე ვიყავი. ნოტარიუსმა დაარიგა, სასწრაფოდ თანამესაკუთრე მოიყვანეთო და ჩემი ძებნა 11 აგვისტოს ღამე დაუწყიათ, მაგრამ პაატა კაჭარავას ბუღალტერმა ჩემი სახლის მისამართი არ გაუმხილა.

— ქალბატონო ირინა, თქვენს ფართში რამე წარმოება მუშაობდა?

— პურის ქარხანა მქონდა... საბოლოო ჯამში, მითხრეს, რომ ჩემი ფართი კი არ დამეთმო, არამედ, თანხმობა იმაზე მიმეცა, რომ პაატას თავისი ქონება სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. ნოტარიუსმა მერი ბუბაშვილმა დარეკა, ეგ ქალბატონი აქ მომიყვანეთ და ყველაფერს მოვაგვარებო... მოკლედ, ნოტარიუსთან წამიყვანეს.

— სად?

— მეტროსადგურ „მარჯანიშვილთან“. ბუბაშვილმა მითხრა, ხელი მოაწერე და ეზოს საკუთრებაში დაგიტოვებთ, ოღონდ მითხარი, ეზო დაახლოებით რამდენი კვადრატული მეტრი იქნებაო. მგონი, 150 კვადრატულია-მეთქი. ჰოდა, რა გინდა, ეზო დაგრჩებაო, — მომიგო მერი ბუბაშვილმა და კრების ოქმი შეადგინა, სადაც ჩაწერა, შენობა-ნაგებობის 458 კვ/მ ფართი და 150 კვ/მ ეზო ირინა ვაჭარაძის მფლობელობაში რჩებაო, ანუ იმის შესახებ, რომ ვინმეს რამე ვაჩუქე, სანოტარო აქტი არ არსებობს. საჯარო რეესტრში საბუთები პაატა კაჭარავას ციხეში დაწერილი მინდობილობის საფუძველზე შეცვალეს. სხვათა შორის, თანამშრომელმა გოგონამ ნოტარიუს ბუბაშვილს ჰკითხა, 458 კვ/მ ფართი რაღაც მიწაზე ხომ დგას და ეს მიწა სადააო. ბუბაშვილმა თანამშრომელს უყვირა, რასაც გეუბნები, გააკეთეო... ასე იყო თუ ისე, ბოლოს ხელი მოვაწერე — ძალიან დავიღალე, თან ტელეფონით ჩემი ძმა დამალაპარაკეს, რომელმაც მითხრა, თუ გინდა, მანდედან ცოცხალი გამოხვიდე, რასაც გეუბნებიან, გააკეთეო.

— ამბობთ, არავისთვის არაფერი მიჩუქებიაო. აბა, ხელი რა საბუთს მოაწერეთ?

— ნოტარიუსის კრების ოქმს. შპს „ოლიას“ ოთხი მფლობელი ჰყავს და უფლება არ მქონდა, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიმეღო.

— ფინანსური უწყება „ოლიას“ სხვა მეწილეებითაც რატომ არ დაინტერესდა?

— საჭიროდ არ ჩათვალა, თან მაგალითად, ერთი მეწილე აშშ-ში ცხოვრობს და იქიდან ხომ ვერ ჩამოიყვანდნენ? ამიტომ, ტექნიკური ბიუროს არქივიდან აბსოლუტურად ყველა დოკუმენტი გააქრეს და ახლა ამასაც მე მაბრალებენ.

— ერთი სიტყვით, შენობა დაგიტოვეს და მიწა წაგართვეს?

— დიახ, შენობა სახელმწიფომ იჩუქა, ანუ სანოტარო ოქმში წერია, რომ თანახმა ვარ, პაატა კაჭარავამ თავის საკუთრებაში არსებული 20617 კვ/მ მიწა გაასაჩუქროს.

— დღეს ეს ქონება ვის მფლობელობაშია?

— სახელმწიფომ ეს ქონება 2007 წლის თებერვალში აუქციონზე გაიტანა და აუქციონამდე ორი კვირით ადრე შექმნილ შპს „მიწა და უძრავ ქონებას“ მიჰყიდა. კანონით, აუქციონის შესახებ ჩემთვის, როგორც თანამესაკუთრისთვის უნდა ეცნობებინათ — იქნებ, ჩემი თანამესაკუთრისგან ანუ სახელმწიფოსგან ამ ქონებას ვყიდულობდი?

— შპს „მიწა და უძრავი ქონება“ ვისია?

— როგორც ვიცი, მის უკან ბოკერია-უგულავას კლანი იდგა — გარკვეული წილი ბოკერიას სიდედრს ეკუთვნოდა... „მიწა და უძრავი ქონების“ წარმომადგენლები დამემუქრნენ, ეს მიწა ჩვენია და აქ შენი შენობა რატომ დგასო. ამ შპს-ს დირექტორი თავიდან ვასილ სულხანიშვილი იყო, რომელიც ცეზარ ჩოჩელთან, ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავასთან დაახლოებულია და, როგორც ვიცი, ახლა „ზედაზენის“ ლუდის ქარხანაში მუშაობს...

— ქალბატონო ირინა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, პროკურატურას არ მიმართეთ?

— რა თქმა უნდა, ქალაქის პროკურატურაში საქმე ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისა და ნოტარიუს მერი ბუბაშვილის მიერ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღიძრა. გამომძიებელმა ყურადღება საჯარო რეესტრისა და ტექნიკური არქივის თანამშრომელთა უფლებამოსილების გადამეტებაზეც გაამახვილა... მეც დამკითხეს, პაატა კაჭარავაც, კოტე ყიფიანიც და მერი ბუბაშვილიც. საქმეს ნინო ციციაშვილი იძიებდა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ჩემი უფლებები დაირღვა, თუმცა კოტე ყიფიანს ჩემზე უთქვამს, ეგ ქალბატონო თვალით არ მინახავსო.

— ქალბატონო ირინა, კოტე ყიფიანს იქნებ ყველაფერს აბრალებთ?

— როგორ გეკადრებათ, მის კაბინეტში მხოლოდ მე ხომ არ ვიყავი? ოთხი მოწმე მყავს...

— საქმე სასამართლოში რატომ არ წავიდა?

— გამოძიების დასრულების შემდეგ ქალაქის პროკურატურამ ჩემი საქმე მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა, იქ კი თაროზე ასეთი ბევრი საქმე დევს. ვფიქრობ, ეს პოლიტიკური ნებაა. „მიწამ და უძრავმა ქონებამ“ 7380 კვ/მ-ის შენობა-ნაგებობა უპატრონოდ მიატოვა. ხალხი შენობას ძარცვავდა და რამდენჯერმე იძულებული გავხდი, პოლიცია გამომეძახა. მოკლედ, „მიწა და უძრავი ქონება“ მეუბნებოდა, ჩემს მიწაზე შენი ქონება უკანონოდ დგასო, თავისი შენობა-ნაგებობა ავარიულ მდგომარეობამდე სპეციალურად მიიყვანა, მერე კი, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დააწერინა დასკვნა, რომ მთელი შენობა ავარიულია. არადა, სამხარაულის ექსპერტი ჩემს შენობაში საერთოდ არ მოსულა, თუმცა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მოსამართლე ნათია ჯორბენაძემ ესეც ჩემს წინააღმდეგ გამოიყენა, შენობა ავარიული სწორედ მაგიტომაა, რომ ექსპერტი შესამოწმებლად არ მოვიდაო. მოკლედ, მერიის ზედამხედველობის ინსპექციას ჩემი დასჯა დაევალა, მაგრამ ამ სამსახურმა განაცხადა, შპს „ოლიას“ მიერ კანონის დარღვევას ვერ ვხედავ, არქიტექტურის სამსახურს მიმართეთ, ერთმანეთს გაემიჯნეთ და თქვენს შენობებს მიხედეთო. მერიის ეს გადაწყვეტილება „მიწამ და უძრავმა ქონებამ“ სასამართლოში გაასაჩივრა... მოსამართლე ჯორბენაძემ მითხრა, დასკვნა მომიტანე, რომ შენი შენობა ავარიული არაა. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში მისვლის შემეშინდა და ცნობათა ბიუროში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის კოორდინატები გავიგე, რომელმაც დაწერა დასკვნა, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, რომლის ქვეშაც კომუნისტების დროს აშენებული სამოქალაქო თავდაცვის ობიექტია და რომელსაც „ბულდოზერითაც“ ვერ ვანგრევთ, ავარიული არ არის. სხვათა შორის, მოგვიანებით, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომაც დაწერა დასკვნა, რომ ჩემი შენობა ავარიული არ არის. ამ ორი დასკვნის შემდეგ, მოსამართლემ მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაავალა, ნაწილობრივ ბათილად სცანიო.

— ნაწილობრივ ბათილად ცნობა რას ნიშნავს, თქვენი შენობა ნაწილობრივ უნდა დაანგრიონ?

— არ ვიცი, ეს ვერც მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ახსნა.

— ქალბატონო ირინა, იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, თქვენთვის, როგორც ქონებაწართმეული ბიზნესმენისთვის, არაფერი შეცვლილა?

— არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება, რადგან არ შეიძლება, იგივე მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები იყვნენ. მოსამართლეს, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანი ციხეში უკანონოდ ჩააგდო, დღეს, რა, ღირსება დაუბრუნდა? ეს მოსამართლეები, ღირსება რომ ჰქონოდათ, როცა უკანონო განაჩენის გამოტანას აიძულებდნენ, მანტიას გაიხდიდნენ! ამიტომ, აქაური მართლმსაჯულების არ მჯერა და ევროსასამართლოს იმედი მაქვს! არ შეიძლება, იგივე განმეორდეს, რაც ნაციონალებმა თაბუკაშვილის კორპუსთან დაკავშირებით გააკეთეს! ამიტომ, ქვეყანას შევყრი და ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ! არ ვიცი, როგორ, მაგრამ ყველაფერი დავით უსუფაშვილს უნდა გავაგებინო! თუ ახალი მთავრობა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა, სამართალს ვერ აღადგენს, უკანონობას ახლა მაინც ნუ დაუშვებს — თუ ნაციონალების წართმეულ ქონებას ვერ დაგვიბრუნებს, არსებულ საკუთრებას მაინც ნუ დაგვინგრევს და ამით ნუღარ გაგვაუბედურებს!

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

"სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულებისკენ მიზანდასახულად ვისწრაფით"

"2013 წელს სასამართლო კორპუსმა დაამტკიცა, რომ მზად იყო ყველა სიახლის და გამოწვევებისთვის. ერთმნიშვნელოვნად და მიზანმიმართულად გრძელდება სასამართლო რეფორმები. სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ყველა ჩვენთაგანი მოტივირებულია და ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანდასახულად ვისწრაფით მისკენ, რაც ჩვენი მხრიდან ყოველდღიურ, მუხლჩაუხრელ შრომაში გამოიხატება," - აცხადებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით მამისეიშვილი, რომელთან ინტერვიუსაც ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესების თაობაზე ქვემოთ შემოგთავაზებთ.

- ბათუმის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლოა, განხილულ საქმეთა რაოდენობით გამორჩეულია. როგორი სტატისტიკური მონაცემებით ამთავრებთ მიმდინარე წელს?

- ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსულ საქმეთა რაოდენობა, მაგალითად მოვიყვან შედარებას 2012 წელს შემოსულ საქმეებთან. 2013 წელს 1255 სისხლის სამართლის საქმე შემოვიდა განსახილველად, ხოლო 2012 წელს მხოლოდ 766, 2013 წელს განვიხილეთ 1316 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ხოლო 2012 წელს, მხოლოდ 901 შუამდგომლობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 10 მოსამართლე ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას და საქმეთა ნაკადის დაძლევას ამ რესურსით ვახორციელებთ და ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებულადაც.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგია თანაბრად არის დატვირთული, ვინაიდან, საქმეთა განაწილება ხდება თანაბრად, კანონით დადგენილი წესით. სასამართლოში შემოსულ საქმეთა განხილვის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოში უკვე არსებობს დარბაზი, სადაც საქმე უნდა განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ, როგორ ემზადება სასამართლო ნაფიც მსაჯულთა პროცესის გასამართავად?

- მართლაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიეცა საშუალება განიხილოს განსაკუთრებული კატეგორიის (თანამდებობის პირთა) სისხლის სამართლის საქმეები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ სრულყოფილად მზად ვართ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პროცესის ჩატარებისათვის. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ძალისხმევით ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაკეთდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომის დარბაზი (სათათბირო და სასადილო ოთახები), რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით. მოსამართლეებმა გავიარეთ შესაბამისი ტრეინინგები და სასამართლო კორპუსი სრულ მზადყოფნაშია ასეთი კატეგორიის საქმეების განსახილველად.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოში ბევრი გახმაურებული პროცესი ჩატარდა, რომელიც მედიის და საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. ბევრი პროცესი პირდაპირ ეთერშიც გადაიცემოდა. როგორ შეაფასებთ სასამართლოს ამგვარ გახსნილობას და საჯაროობას. ხომ არ მოქმედებს მედიის მომეტებული ინტერესი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, თუ პირიქით.

- ეს საკითხი სასამართლოსათვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან საკანონმდებლო ცვლილების მიღებამდე ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოქმედებდა სასამართლო სხდომების აუდიო ჩაწერის სისტემა და სასამართლო კორპუსი პრაქტიკულად მზად იყო ამ სიახლისთვის. ასევე მოგეხსენებათ, რომ ყველა მოსამართლემ გაიარა რამოდენიმეჯერ ტრეინინგი სასამართლო სხდომის დარბაზში კომუნიკაციის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა.

აუდიო ვიდეო ჩაწერა და პირდაპირი ეთერი დადებითად შეიძლება შეფასდეს იმ კუთხით, რომ მოქალაქეების ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი სასამართლო პროცესები და ისინი უშუალოდ თავად შეძლებენ ამ სხდომებისათვის თვალყურის დევნებას, რაც მართლმსაჯულებისათვის ნდობის ამაღლებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

- როგორი იყო 2013 წელს არასამთავრობო სექტორიდან და მოქალაქეებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სტატისტიკა?

- ბათუმის საქალაქო სასამართლო წლების განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის, მოხელეთა კვალიფიციურობისა და ზოგადად, სასამართლოში მოსული ადამიანების მომსახურების თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული იყო. გავიხსენებდი ასევე ჩვენს სასამართლოში ჩატარებულ კვლევების შედეგებს, სადაც ყველა მაჩვენებლებით ბათუმის საქალაქო სასამართლო მოწინავეთა რიგებში იყო. აღსანიშნავია, რომ ყველა კვლევის შედეგების მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლო, ამ თვალსაზრისით გამორჩეულია და კვლავ რჩება მოწოდების სიმაღლეზე.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 44 განცხადება შემოვიდა (მათ შორის არასამთავრობო სექტორიდან), რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა (38 ერთეული) დაკმაყოფილდა და დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს მოთხოვნილი ინფორმაცია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ჩართულია საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონულ პროგრამაში, რომლის მეშვეობითაც, შეუძლიათ მოქალაქეებს მათთვის მოხერხებული ფორმით მოითხოვონ და შესაბამის ვადებში მიიღონ მათთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია.

სასამართლო გარდა იმისა, რომ ახორციელებს მართლმსაჯულებას, ასევე ასრულებს თავის ადმინისიტრაციულ ფუნქციებს, ყოველივე ამის გათვალისწინებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ და მთავარ ამოცანას წარმოადგენს კვლავ იყოს მოწოდების სიმაღლეზე და სასამართლოში მოსულ მოქალაქეებს გაუწიოს სწრაფი და კვალიფიციური მომსახურება.

- საქმეთა განხილვის ვადების მხრივ როგორია სასამართლოს სტატისტიკა? და საკმარისია თუ არა მოსამართლეების რაოდენობა საქმეთა დროულად განხილვის უზრუნველსაყოფად

- ამჟამად, ბათუმის საქალაქო სასამართლოში სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებს 10 მოსამართლე, რომლებიც იხილავენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. ბოლო პერიოდში მიუხედავად მომატებული საქმეთა ნაკადისა ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შემოსული საქმეები საპროცესო კანონდებლობით დადგენილ ვადებში იქნას განხილული, ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ სასამართლოში არის მოსამართლის ვაკანტური ადგილი, რომლის შევსების შემთხვევაშიც მოხდება სხვა მოსამართლეების განტვირთვა და კიდევ უფრო შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელდება მართლმსაჯულება. მოგეხსენებათ, რომ მოსამართლეთა დანიშვნის საკითხი ეხება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სწორედ საბჭო წყვეტს ამ საკითხებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოლოდინში ვართ და იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში ბათუმის საქალაქო სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელებას კიდევ ერთი მოსამართლე შეუდგება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგია თანაბრად არის დატვირთული, ვინაიდან, საქმეთა განაწილება ხდება თანაბრად, კანონოთ დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეებს, დღეის მდგომარეობით თავიანთ წარმოებაში აქვთ 100-ზე მეტი საქმე თითოეულს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებს წარმოებაში 180-200-მდე საქმე აქვთ თითოეულს და დაახლეობით 130-მდე საქმე არის წარმოებაში ადმინისტრაციულ კოლეგიაში.

- როგორ შეაფასებთ 2013 წელს სასამართლოს მუშაობას და რა გეგმები გაქვთ მომავალ წელს?

- 2013 წელს სასამართლო კორპუსმა დაამტკიცა, რომ მზად იყო ყველა სიახლის და გამოწვევებისთვის. ერთმნიშვნელოვნად და მიზანმიმართულად გრძელდება სასამართლო რეფორმები. სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ყველა ჩვენთაგანი მოტივირებულია და ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანდასახულად ვისწრაფით მისკენ, რაც ჩვენი მხრიდან ყოველდღიურ, მუხლჩაუხრელ შრომაში გამოიხატება.

იმედია მომდევნო სამუშაო წელიც იქნება იმ დაწყებული რეფორმების გაგრძელების, უამრავი სიახლის დანერგვის და ბევრი პოზიტივის მომტანი წელი თითოეული იმ ადამიანისათვის, ვინც სასამართლო ხელისუფლების ნაწილია და ამ ხელისუფლების წარმატებისათვის მოღვაწეობს.

სამუდამო პატიმრობა მკვლელობისთვის

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაასრულა მოჰამმადამინ როინტანის სისხლის სამართლის საქმის განხილვა და მას დაუსწრებლად გამოუტანა განაჩენი. საუბარია, ბათუმში მომხდარ მარიამ კოჩალაძის გახმაურებულ მკვლელობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოჰამმადამინ როინტანი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "გ" ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით დაენიშნა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მოჰჰამადამინ როინტანს ბრალად ედება მარიამ კოჩალიძის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ანგარებით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნანილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ხოლო საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზე არის გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა მოჰამმადამინ როინტანის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის, კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მოჰამმადამინ როინტანის ბრალეულობაში, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოჰამმადამინ როინტანი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ გამოიტანა გამამტყინებელი განაჩენი.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

3-5 წელში კიბოს გრიპივით დაამარცხებენ?!

მკურნალობის ახალი მეთოდით ღეიკემიით დაავადებული, სასიკვდილოდ განწირული პაციენტები უკვე განკურნეს!

კიბოს წინააღმდეგ მკურნალობის ახალი მეთოდი ნაპოვნია. უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით, მეცნიერებმა უკვე განკურნეს კიბოთი დაავადებული, სასიკვდილოდ განწირული ადამიანი — გამოცდილი უახლესი მეთოდი, სიმსივნური დაავადებების გარდა, ადამიანის სხვადასხვა ინფექციური ავადმყოფობებისგან განკურნების საშუალებაც იქნება. ექიმები პროგნოზირებენ, რომ დაახლოებით 3-5 წელში, ახალი მეთოდი სამედიცინო პრაქტიკაში ოფიციალურად დაინერგება და ბევრი ავადმყოფი სრულად გამოჯანმრთელდება.

კიბოს მკურნალობის თანამედროვე საშუალებები ძალიან საიმედო ნამდვილად არაა და ამას მსოფლიო მეცნიერებიც აღიარებენ, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში, სპეციალისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ონკოდაავადებების მკურნალობის უნიკალურ და მეტად ეფექტურ მეთოდს მიაგნეს, რომელიც ბევრ სხვა ტიპის ავადმყოფობასაც განკურნავს.

ახალი ტექნოლოგიის არსი ისაა, პაციენტის იმუნურ სისტემას კიბოს უჯრედებთან ბრძოლა „ასწავლონ“. კიბოთი დაავადებული და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მკურნალობის პირველი წარმატებული ცდები უკვე ჩატარდა — ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ახალი მეთოდი იმაზე ეფექტურია, ვიდრე ექიმები ელოდნენ.

ნიკ უილკინსს ლეიკემიის დიაგნოზი 4 წლის ასაკში დაუსვეს, სამწუხაროდ, ბიჭუნას ვერც ქიმიოთერაპიამ უშველა და ვერც დონორი დის ძვლის ტვინის გადანერგვამ. 14 წლის ასაკში გაირკვა, რომ მკურნალობის ყველა არსებული საშუალება ავადმყოფობის წინააღმდეგ უძლური იყო, ექიმებმა ფარ-ხმალი დაყარეს და ნიკის მშობლები გააფრთხილეს, რომ ბიჭს მხოლოდ რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენოდა. რადგან ბიჭი სასიკვდილოდ იყო განწირული, დედ-მამამ გადაწყვიტა, უკანასკნელი შანსი გამოეყენებინა და ნიკი პენსილვანიის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ მკურნალობის ექსპერიმენტულ პროგრამაში ჩაერთოთ. ექსპერიმენტში, ნიკის გარდა, 20 ახალგაზრდა პაციენტი მონაწილეობდა. ნიკმა მათთან ერთად მკურნალობის ექსპერიმენტული კურსი ფილადელფიის ბავშვთა კლინიკაში გაიარა. მკურნალობის შემდეგ, ექიმების ანგარიშში კი წერია: **„ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა. საოცარია — 21 პაციენტიდან 18 სრულად განიკურნა მკურნალობის ერთი კურსის მერე. ნიკ უილკინსი კი, სრულად განიკურნა კლინიკაში დაწვენიდან 2 თვისთავზე“.** ახალი თერაპია დაფუძნებულია პაციენტის იმუნური სისტემის T-უჯრედებზე. ექიმების შესაბამისი კვალიფიკაციის შედეგად, მეთოდი შეიძლება დაინერგოს ნებისმიერ სამედიცინო ცენტრში, მკურნალობის არსი კი შემდეგია: ექიმები პაციენტის ორგანიზმიდან იმუნურ T-უჯრედებს იღებენ და მათ ახალი გენების შეყვანით აპროგრამებენ, მოდიფიცირებული უჯრედები კი „ეძებენ“ კიბოს უჯრედებს ანუ პაციენტის იმუნური T-უჯრედები იძენენ თვისებას — აღმოაჩინონ და თავს დაესხან სიმსივნურ უჯრედებს. დაპროგრამების შემდეგ, T-უჯრედებს კვლავ პაციენტის ორგანიზმში ნერგავენ, სადაც ყოველი დაპროგრამებული T-უჯრედი ახალ გენეტიკურ თვისებას 10 000 სხვა უჯრედს ანიჭებს და ამგვარად პაციენტის ორგანიზმში წარმოიშობა დიდი რაოდენობის „მონადირე უჯრედები“, რომლებიც ანადგურებენ კიბოს უჯრედებს. ფაქტობრივად, მეცნიერებმა იმუნიტეტს „ასწავლეს“ სიმსივნურ უჯრედებთან ბრძოლა ისე, როგორც გაციებასა თუ გრიპთან... პაციენტების მკურნალობა განსაკუთრებული სიმპტომების ფონზე წარიმართა: ორგანიზმში მოდიფიცირებული T-უჯრედების შეყვანის შემდეგ, კიბოს უჯრედებთან აქტიური ბრძოლისას, მოხალისეებს ახასიათებდათ მაღალი ტემპერატურა, სისუსტე... ამ დროს ისინი მოთავსებულნი იყვნენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში — ნიკ უილკინსმა იქ სრული დღე-ღამე გაატარა; ექიმების თქმით კი, ეს ნიშნები არაფერია იმ გვერდით მოვლენებთან შედარებით, რაც ონკოდაავადებულებს ქიმიოთერაპიის დროს აღენიშნებათ ან ძვლის ტვინის გადანერგვას ახლავს.

თეორიულად, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდი შეიძლება გამოიყენებოდეს ყველა სახეობის კიბოს წინააღმდეგ, თანაც ნებისმიერ სტადიაზე, ასევე ინფექციური დაავადებებისა და მძიმე ინტოქსიკაციის სამკურნალოდაც. ახალი მეთოდის ეფექტურობა კიდევ ერთი ფაქტით დამტკიცდა: გარდა იმისა, რომ ნიკ უილკინსს მკურნალობის 2 თვისთავზე სისხლში კიბოს არც ერთი უჯრედი არ აღმოაჩნდა, დადგინდა, რომ: სიმსივნურ უჯრედებთან ბრძოლის შემდეგ, გენეტიკურად მოდიფიცირებული T-უჯრედები გადარჩნენ და მათ შეუძლიათ იარსებონ პაციენტის სისხლში მინიმუმ 3 წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში პაციენტი დაცულია დაავადების რეციდივისგან (ავადმყოფობის გამეორება). კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტექნოლოგიაზე კლინიკური ექსპერიმენტები მხოლოდ 2010 წლიდან ტარდება და მას შემდეგ „ჩამქრალმა“ დაავადებამ თითზეჩამოსათვლელ შემთხვევებში გაიღვიძა, სტატისტიკა კი ასეთია: 12 სრულიად განკურნებული ზრდასრული ადამიანიდან, მხოლოდ ერთს ჰქონდა ავადმყოფობის რეციდივი; აღსანიშნავია ისიც, რომ მოდიფიცირებული T-უჯრედების თერაპიის შემდეგ „შებრუნებული“ დაავადება მკურნალობას გაცილებით ადვილად ექვემდებარება და ამ ფონზე, რა გასაკვირია, მსოფლიო მეცნიერების აღფრთოვანება.

დოქტორი რენე ბრენტენი ყვება: **„15 წლის წინ, ლაბორატორიაში, მიკროსკოპში ვაკვირდებოდი, როგორ ხოცავდა მოდიფიცირებული T-უჯრედები კიბოს უჯრედებს. ეს ნამდვილი სასწაული იყო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტიც წარმატებით დასრულდა.... არასოდეს დამავიწყდება პაციენტი, რომელსაც ძვლის ტვინში კიბოს უამრავი უჯრედი ჰქონდა — იგი სასიკვდილოდ იყო განწირული, დაავადებას ვერაფრით ვამარცხებდით და ერთ-ერთი პირველი ჩავრთეთ ექსპერიმენტში... რამდენიმე თვის შემდეგ კი, როდესაც მიკროსკოპით დავაკვირდი, თვალებს ვერ დავუჯერე — ათასჯერ გადავამოწმე და ძვლის ტვინში კიბოს ვერც ერთი უჯრედი ვერ აღმოვაჩინე. აღფრთოვანებისგან შევკივლე — ღმერთო, ეს ხომ ფანტასტიკაა! არ დამავიწყდება მისი აცრემლებული თვალები — სიკვდილს შეგუებულს ვუთხარით, რომ სრულიად ჯანმრთელი იყო და შეეძლო ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაბრუნებოდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო!“**

კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი დღეს ნებადართულია მხოლოდ ექსპერიმენტული პროგრამების სახით, სადაც სულ უფრო მეტი პაციენტი ერთვება და ექსპერიმენტის ეფექტურობაც დღითიდღე სარწმუნო ხდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 3-5 წლის შემდეგ ეს უნიკალური მეთოდი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, არაერთ კლინიკაში, ჩვეულებრივ, წარმატებულ პრაქტიკად დაინერგება.

ნინო ლურსმანაშვილი

„შაჰდენიზის“ გაზსადენის პროექტი ლარის კურსს გაამყარებს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„შაჰდენიზი-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენის პროექტის მეორე ეტაპი უკვე დაიწყო — ასეთი შედეგით დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის შეხვედრა 17 დეკემბერს, ბაქოში. „შაჰდენიზის“ გაზსადენის პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში, საქართველოში 700 000 000 აშშ დოლარამდე ინვესტიცია განხორციელდება. მხოლოდ ამ პროექტის საშუალებით, ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის რყევა შემცირდება და ლარის კურსი გამყარდება. პრემიერ-მინისტრთან ერთად, ბაქოში ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იმყოფებოდნენ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, 16-17 დეკემბერს, ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს შეხვდა. პირისპირ შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა. მხარეებმა ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე იმსჯელეს და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა აზერბაიჯანთან პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, აზერბაიჯანის ხელისუფლების მხარდაჭერის გამო, ღარიბაშვილმა ილჰამ ალიევს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა: **„დარწმუნებული ვარ, ეს ენერგეტიკის სფეროში ჩვენი გრძელვადიანი და მრავალმხრივი თანამშრომლობის მხოლოდ დასაწყისია, შემდგომ ნაბიჯებს ტრანსკასპიური მიმართულებით წინსვლისა და კასპიის ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების გაღრმავებისკენ გადავდგამთ. ისეთი პროექტის განხორციელება, როგორიცაა „შაჰდენიზის“ გაზსადენის მეორე ეტაპი, რომლის ინვესტიციების ოდენობა 6 სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 40 მილიარდი აშშ დოლარია, მართლაც მოუტანს ჩვენს სახელმწიფოებს სტაბილურობას, ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა „სიპის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, **ლევან კალანდაძის** განცხადებით, „შაჰდენიზი“ საქართველოსთვის საუკუნის პროექტია. მისი თქმით, 5 წლის განმავლობაში, ქვეყანაში 700 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება და გაზსადენის მშენებლობის პროცესში ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება: **„შაჰდენიზის“ პროექტით, საქართველო მაქსიმალურად გამოიყენებს გეოსტრატეგიულ როლს და სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას. ეს ფუნქცია ჩვენს ქვეყანას ყოველთვის გააჩნდა, მაგრამ რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას ვერასოდეს ახერხებდა. სხვა მსგავსი მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების რეალიზების პარალელურად, „შაჰდენიზის“ პროექტი უფრო გაზრდის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და ენერგოუსაფრთხოებას. ჩვენი მთავრობის საზრუნავსა და პრიორიტეტს სწორედ ის უნდა წარმოადგენდეს, შაჰდენიზის მეორე ფაზის რეალიზების პროცესში ეს პროექტი მაქსიმალურად იყოს მორგებული და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს საქართველოს როგორც ეკონომიკურ, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების სტრატეგიულ ინტერესს“.**

მართალია, „შაჰდენიზის“ პროექტის მეორე ფაზაში, 700 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია 5 წლის განმავლობაში იგეგმება, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში ეტაპობრივად გამყარდეს.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, „შაჰდენიზის“ გაზსადენის ექსპლოატაცია 2006 წელს დაიწყო. არსებული შეთანხმების თანახმად, პროექტის ფარგლებში, საქართველო და თურქეთი აზერბაიჯანულ გაზს მიიღებენ. შორეულ პერსპექტივაში, აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი ევროპაშიც განხორციელდება. „შაჰდენიზის“ მეორე ფაზის ფარგლებში, გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება, რათა თურქეთში, ყოველწლიურად, დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განხორციელდეს. პროექტის ფარგლებში, საქართველოში დამატებით 2 საკომპრესორო სადგურის, ახალი წნევის რეგულირებისა და გამზომი სადგურის ინსტალაცია იგეგმება.

„შაჰდენიზის“ გაზსადენიდან, საქართველო ყოველწლიურად, ტრანზიტით გატარებული გაზის 5%-ს მიიღებს. მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, ეს 5%, დამატებით 1 მილიარდი კუბური მეტრია, თუმცა ქვეყანას იმის უფლებაც აქვს, ყოველწლიურად 0.5 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ფასდაკლებით შეიძინოს. „შაჰდენიზის“ პროექტის მშენებლობის პერიოდში 2 000, ხოლო გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ 130 ახალი, მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. პარალელური მილსადენების მშენებლობისთვის, საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით, დაახლოებით, 350 000 ტონა სამშენებლო ტვირთს გადაზიდავენ.

„შაჰდენიზი“ ყველაზე დიდი საბადოა აზერბაიჯანში, რომელიც კასპიის ზღვაში მდებარეობს და ოპერირებას საერთაშორისო კომპანიები უწევენ — BP (25.5%), Statoil (25.5%), SOCAR (10%), Total S.A. (10%), LUKoil (10%), NIOC (10%), TPAO (9%). „შაჰდენიზის“ საბადოს რეზერვი, დაახლოებით, 1 ტრილიონი კუბური მეტრია. ოფიციალური ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP), ახალი პარალელური მილსადენით გაფართოვდება, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე გაივლის. მათ შორის, 387 კმ აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ საქართველოს ტერიტორიაზე. თურქეთში „შაჰდენიზის“ გაზის ტრანსპორტირება ახალი, ტრანსანატოლიური მილსადენის (TANAP) საშუალებით განხორციელდება. ევროპაში ტრანსადრიატიკული მილსადენი (TAP), რომელიც საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით, გაზს იტალიას მიაწვდის. „შაჰდენიზი-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენის მილში, ბუნებრივ აირს 2018 წელს გაუშვებენ. თავდაპირველად, აზერბაიჯანულ გაზს საქართველო და თურქეთი მიიღებს, ერთი წლის შემდეგ კი ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპაშიც განხორციელდება.

ვინ და რატომ ბლოკავს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ვილნიუსის სამიტზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რაც ანტიმონოპოლიური რეგულირების, სურსათის უსაფრთხოებისა და შრომის კოდექსის გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოს ერთი წელი აქვს, რომ საკანონმდებლო ხარვეზი გამოასწოროს, მთავრობამ კანონპროექტი უკვე შეიმუშავა, მაგრამ პარლამენტში ინიცირებას ვეღარ მოაბა თავი. ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონს, სხვადასხვა ბაზრის მონოპოლისტები და მსხვილი იმპორტიორები ხომ არ ბლოკავენ?

რა იყო აღრე, ანუ ანტიმონოპოლიური ექსკურსი

ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია, 2005 წლამდე, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი იყო. ამ სამსახურის რეფორმა, ასევე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კონცეფცია მისი შემუშავებულია. 2005 წელს, ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა, კახა ბენდუქიძემ რეფორმა მოიმიზეზა და ანტიმონოპოლიური სამსახური საერთოდ გააუქმა. ამ სამსახურის გაუქმებიდან 6 წლის შემდეგ, ანუ 2011 წელს, ბენდუქიძის თანამოაზრეებმა — ვატო ლეჟავამ და თამარ კოვზირიძემ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონპროექტი შეიმუშავეს.

იმავე პერიოდში, საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სამთავრობო მოლაპარაკებებსაც ვატო ლეჟავა და თამარ კოვზირიძე უძღვებოდნენ. თუმცა ბენდუქიძის თანამოაზრეებმა, თავისუფალი კონკურენციისა და ვაჭრობის კონცეფცია თავდაყირა დააყენეს, ამიტომ ყოფილმა ბიზნესომბუდსმენმა გიორგი პერტაიამ, პარლამენტს მისი განხილვა შეაჩერებინა. მთავრობამ კანონპროექტი პარლამენტს ისე წარუდგინა, რომ ბიზნესმენებმა არაფერი იცოდნენ. ყოფილი ბიზნესომბუდსმენის აქტიურობა რომ არა, მთავრობის ინიციატივით, პარლამენტი ისეთ მაკონტროლებელს შექმნიდა, რომელიც ბიზნესს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. ორი წლის წინ, გიორგი პერტაიამ „ვერსიას“ ექსკლუზიურად გაუმხილა ყველა შენიშვნა, რის გამოც პარლამენტს ლეჟავა-კოვზანაძის კანონპროექტის განხილვა 2012 წლის გაზაფხულამდე გადაადებინა. გაზაფხულზე ანტიმონოპოლიურისთვის არავის ეცალა, ხოლო 2012 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა-შემოღება, უკვე ბიძინა ივანიშვილის მთავრობის პრიორიტეტად იქცა.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი — ვიდრე ბენდუქიძის თანამოაზრეები კანონპროექტს დაწერდნენ, ერთი წლით ადრე, 2010 წელს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) — შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტო შეიქმნა. უფრო ზუსტად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოები გააერთიანეს. არადა, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი, რადგან გარკვეულწილად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოც ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, ანუ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ უნდა აკონტროლოს. „ვერსიაში“ იმასაც ვწერდით, რომ სსიპ — შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტო შვედური გრანტით შეიქმნა, რისთვისაც 3 000 000 აშშ დოლარი გამოყვეს. სინამდვილეში, ეს სსიპ მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე არსებობდა და ახლაც ასეა, რადგან სააგენტოს სრულყოფილად ასამუშავებლად, პარლამენტმა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონპროექტი უნდა დაამტკიცოს.

ანტიმონოპოლიური რეგულირება და ლარის კურსის რყევა

იმის გამო, რომ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური რეგულირება არ არსებობს, ვალუტის კურსის რყევა გარკვეული ჯგუფის ინტერესში შედის.

დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, **დემურ გიორხელიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ უხეში გათვლებით, სახელმწიფოს ბიუჯეტი წელიწადში, დაახლოებით, 7 მილიარდ ლარს კარგავს. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს თანხა მონოპოლისტების ჯიბეებში ილექება, რაც არაჯანსაღ ეკონომიკურ პირობებს ქმნის და ინფლაციურ პროცესებს იწვევს, ამიტომ მთავრობის უპირველესი ამოცანა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის ამოქმედებაა. დემურ გიორხელიძის თქმით, ბაზარზე ახალი ბიზნესჯგუფების გამოჩენა და მათ შორის კონკურენტული გარემოს არსებობა ის ფუნდამენტური ღირებულებაა, რასაც ქვეყნის დასავლური ორიენტაცია ეწოდება. ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა შეუძლებელია და ამას არავინ ელოდა. სამწუხაროდ, განვლილი ერთი წლის მანძილზე, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ეკონომიკური გუნდის ქმედითი ნაბიჯებიც არ ჩანდა, რაც მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების არგატარებაში გამოიხატებოდა. მაგალითად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც 2013 წლის გაზაფხულზე უკვე მზად იყო, მთავრობამ პარლამენტში ვერ შეიტანა. არადა, კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, ადგილობრივ ბაზარს უხარისხო პროდუქციისგან იცავს. რა თქმა უნდა, იმპორტს არ ზღუდავს, მაგრამ მონოპოლიებს შლის და არცერთ მსხვილ კომპანიას არ აძლევს საშუალებას, რამდენიმე, მომიჯნავე დარგი გააერთიანოს. მაგალითად, ანტიმონოპოლიური რეგულირების პირობებში, ფარმაცევტულ კომპანიას უფლება არ აქვს, რომ ქარხნებს, სარეალიზაციო და სადაზღვევო კომპანიებს ერთი ქოლგის ქვეშ ფლობდეს. საკანონმდებლო ხარვეზები რომ სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა, არც ისე დიდი ხნის წინ, ეს „ვერსიასთან“ ინტერვიუში, ეკონომიკის ექსპერტმა, **გია ხუხაშვილმაც** აღიარა: **„ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, კითხვები მეც მაქვს. შეიძლება ითქვას, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ეკონომიკური განვითარების ცენტრალური ხერხემალია, რადგან ეკონომიკა მხოლოდ კონკურენტულ გარემოში ვითარდება“.**

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას 2014 წელს განიხილავენ

ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი **ემზარ ჯგერენაია** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა კანონია: **„პირველ რიგში, ეს არის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მომხმარებელთა უფლებებს უნდა იცავდნენ, დაფინანსების გარეშე არსებობენ. შესაბამისად, სათანადოდ ვერ მუშაობენ და ჩვენი მომხმარებლების 99%, სრულიად დაუცველია უხარისხო მედიკამენტებისგან, პროდუქტებისა და, რა თქმა უნდა, უხარისხო სერვისისგანაც. ანტიმონოპოლიურ სამსახურს კარგად მომზადებული კადრები სჭირდება, ეს უნდა იყოს აუდიტის ტიპის, საგამოძიებო-ეკონომიკური ორგანო, რომელსაც დიდი და ფართო უფლებები ექნება“.**

ემზარ ჯგერენაიას თქმით, როდესაც ბაზარი კონკურენციისთვის დახურულია, არც თავისუფალი ბიზნესი ვითარდება. მონოპოლისტების საქონელი უხარისხოა, მაგრამ იმის გამო, რომ მოცულობით დიდ, მონოპოლიურ ქსელს ფლობენ, საკუთარ უხარისხო პროდუქციას ამის ხარჯზე ყიდიან. **„ვერ გეტყვით, ვინ ბლოკავს ამ კანონპროექტის განხილვას, მაგრამ ეს არის კანონი, რომელსაც ბოლომდე პატრონი არ ჰყავს. მთავარი პოლიტიკური ნებაა, თორემ ასე თუ ისე, აქამდეც არსებობდა კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, სახელმწიფო კი მონოპოლისტებს მაინც აკონტროლებდა — მაგალითად, პოლიტიკური მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, „საქართველოს ლატარია“ ბაზრის მონოპოლისტი ვერ გახდებოდა. ახლა კანონპროექტი შეიმუშავეს, მაგრამ ეს საკმაოდ რთული პროცესია, რაც მხოლოდ კანონის მიღებაზეც არ არის დამოკიდებული. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა სტანდარტების, მეტროლოგიის, სურსათის უსაფრთხოებისა და ტექნიკური რეგულაციების კანონებთან უნდა იყოს შერწყმული. ამ თვალსაზრისით, მომხმარებელთა უფლებები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ კანონს, რომელშიც რაც არ უნდა ეწეროს, მაინც არაეფექტური იქნება. გამორიცხული არ არის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონს მსხვილი იმპორტიორები და ბაზრის მონოპოლისტები ბლოკავდნენ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ კანონის შექმნამდე, საქართველოს მთავრობას ანტიმონოპოლიური რეგულირების კონცეფცია შეექმნა, სადაც დეტალურად გაწერს, რა და როგორ უნდა ვარეგულიროთ, ან რას ვისახავთ მიზნად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კანონის მიღება და ისეთი სამსახურის შექმნა, რომელიც ბიზნესისა და მსხვილი ინვესტიციების ხელისშემშლელ, ბიუროკრატიულ უწყებად არ გადაიქცევა“.**

აპირებს თუ არა მთავრობა უახლოეს მომავალში, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენას? საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის უფროსმა, **რამაზ ყანჩაველმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ 2014 წლის ბიუჯეტში, ამისთვის საჭირო ხარჯები უკვე გათვალისწინებულია. საშემოდგომო სესიის დასრულებამდე, მხოლოდ ერთი კვირა დარჩა, კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, ჯერ პარლამენტის ბიუროზეც კი არ ყოფილა ინიცირებული, ამდენად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განხილვა მხოლოდ 2014 წელს, პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე იქნება შესაძლებელი.

რა დათმო უკრაინამ პუტინის „საჩუქრის“ სანაცვლოდ?

უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის მოსკოვში ვიზიტს შედეგი კი მოჰყვა, მაგრამ სამაგიეროდ, საზოგადოება ორ ნაწილად გაყო. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა გადაწყვიტა, რომ უკრაინას არა მარტო 15 მილიარდი აშშ დოლარით დაეხმარება, გაზის ტარიფსაც 33%-ით შეუმცირებს. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, პუტინის მოულოდნელი ტრანსფორმაცია უკრაინის საბაჟო კავშირში გაწევრიანებასა და ევროპულ არჩევანზე უარის თქმას ნიშნავს, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის დახმარება ევრომაიდანის საპროტესტო აქციის ლოგიკური შედეგია.

ევროკავშირის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, 17 დეკემბერს, მოსკოვში მიღწეული შეთანხმება უკრაინის დასავლეთთან დაახლოების პროცესში ბარიერს არ წარმოადგენს. პუტინი-იანუკოვიჩის შეთანხმებაზე კომენტარი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტშიც გააკეთეს და უკრაინის მთავრობას მოუწოდეს, თავის ხალხს მოუსმინოს.

რას ნიშნავს 33%-ით შემცირებული გაზის ტარიფი? ორი პრეზიდენტის შეხვედრის დეტალები გამომცემლობა „იზვესტიამ“ ვრცლად გააშუქა. გამოცემის ინფორმაციით, თუ უკრაინა 1 000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 410 აშშ დოლარს იხდიდა, ამიერიდან 268-ს გადაიხდის. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში რთული ეკონომიკური პირობებია, პუტინმა „ეროვნული კეთილდღეობის ფონდიდან“ 15 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო. „იზვესტიას“ ინფორმაციით, 1 ნოემბრის მონაცემებით, ფონდის მთლიანი მოცულობა 2.845 ტრილიონი რუსული რუბლი იყო, საიდანაც საკმაოდ სოლიდური ნაწილი რუსულ-უკრაინულ „მეგობრობას“ მოხმარდება.

ვიქტორ იანუკოვიჩის მოსკოვში ვიზიტამდე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პუტინი მხოლოდ მაშინ წავიდოდა დათმობაზე, თუ უკრაინა ევროკავშირთან დაახლოების ნაცვლად, აღმოსავლეთისკენ შემოტრიალდებოდა და არჩევანს საბაჟო კავშირზე შეაჩერებდა. ორი პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, პუტინმა არაორაზროვნად აღნიშნა: **„ყველას გაგიცრუებთ მოლოდინს, რადგან პრეზიდენტ იანუკოვიჩთან შეხვედრის დროს, საერთოდ არ განგვიხილავს უკრაინის საბაჟო კავშირში შესვლის საკითხი“.**

მოგვიანებით, პუტინის თანაშემწემ საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იური უშაკოვმა აღნიშნა, რომ ორი სახელმწიფოს მეთაურს, უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების საკითხზე არ უმსჯელია; რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, დმიტრი პესკოვმა კი განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინის შიდასაქმეებში არ ერევა და არც საკუთარ პოლიტიკოსებს გზავნის ევრომაიდანზე.

რის ხარჯზე დათმო რუსეთმა მოგება და რას ნიშნავს უკრაინისთვის რუსული „საჩუქარი“? რუსეთის ელჩმა უკრაინაში, მიხეილ ზურაბოვმა პუტინი-იანუკოვიჩის შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ რუსეთი არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც ქვეყანას დააზარალებს. ვლადიმერ პუტინმა დააზუსტა, რომ გაზის ტარიფის 33%-ით შემცირება დროებითი ნაბიჯია, სამომავლოდ კი მხარეები როგორც გაყიდვის, ასევე ტრანზიტის შემთხვევაში, ურთიერთმომგებიან პირობებს შეიმუშავებენ. არც პუტინს, არც „გაზპრომის“ პრეზიდენტს, ალექსეი მილერს და არც „ნაფტოგაზ უკრაინის“ ხელმძღვანელს, ევგენი ბაკულინს არ დაუკონკრეტებიათ, როდემდე გასტანს რუსული ენერგოშეღავათი უკრაინისთვის.

15-მილიარდდოლარიანი ფინანსური დახმარების გარდა, რუსეთმა და უკრაინამ ხელი მთელ რიგ შეთანხმებებს მოაწერეს. მათ შორის, სახელმწიფო საზღვრის გამარტივებულ გადაკვეთასთან, ასევე სატრანსპორტო და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით; მეტიც, რუსეთი უკრაინის საწარმოებში, სამხედრო ტექნიკის რემონტის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს, ოღონდ ერთი პირობით — თუ ორი ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად „დამეგობრდებიან“. პუტინი და იანუკოვიჩი შეთანხმდნენ, რომ მხარეების ერთობლივი მონაწილეობით, სამხედრო თვითმფრინავების სერიული წარმოება და გემთმშენებლობა დაიწყება. „იზვესტიას“ ინფორმაციით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რუსეთსა და უკრაინას შორის, საქონელბრუნვა მკვეთრად შემცირდა. თუმცა უკრაინისთვის რუსეთი მაინც უპირველეს პარტნიორად რჩება, რადგან ადგილობრივი ბაზრის 30%-ს რუსული კომპანიები ფლობენ.

ჰოროსკოპი
20 დეკემბერი

ვერძი — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ ვითარებაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

კურო — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგ ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით, დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

ტყუპები — დღეს ტყუპები ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებიან. შეეცადეთ, ყველაფერს არ მოედოთ — სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

კირჩხიბი — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

ლომი — გჭირდებათ, ზუსტად იცოდეთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც დიდია.

ქალწული — ეცადეთ, დღეს მიღებული ყოველი ინფორმაცია კარგად გააანალიზოთ და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროთ სამომავლო გეგმებზე. გაითვალისწინეთ, რომ ვინც გიღიმით, ყველა თქვენი კეთილისმსურველი არაა.

სასწორი — დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით, თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარებას ვერ შეძლებთ, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაგრამ თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

მორიელი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

თხის რქა — რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ძალიან ადვილი იქნება.

მერწყული — მერწყულებს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ. მაგრამ თუ საქმეში იუმორის გრძნობას ჩართავთ, ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდება.

თევზები — თქვენი შეცდომა ისაა, რომ ყველას აძლევთ ცხვირის ჩაყოფის უფლებას თქვენს საქმეში. ვარსკვლავები გირჩევენ, შეცვალოთ სტრატეგია და გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოთ — მხოლოდ ასე შეძლებთ დასახული მიზნის მიღწევას.

საღებავი შოკოლადისგან დაამზადეს



ხელოვანმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, ოკი სატომ ტკბილეულის მოყვარულებისთვის უჩვეულო სახატავი ნაკრები შექმნა — ეს შოკოლადის კანფეტის ორიგინალური კრებულია, რომელსაც ჩჰოცოლატე აინტ უწოდა და რომლის უნიკალობაც არა საღებავების ფერთა გამაში, არამედ იმაში მდგომარეობს, რომ საჭმელად ვარგისია. ყოველი მათგანი შოკოლადისგანაა დამზადებული, თითოეულ საღებავს კი საკუთარი ფერი და გემო აქვს. სახატავ ნაკრებში სულ 12 ფერია: ყავა, ბრენდი, რომი, კარამელი, მოცვი, მარწყვი, მწვანე ჩაი, ნესვი, ლიმონი, პიტნა და სხვა. ასეთი „გემრიელი" საღებავებით ხატვაზე არც ერთი პატარა არ იტყოდა უარს, მაგრამ სახატავი შოკოლადის ნაკრები ჯერჯერობით მხოლოდ იაპონიაში იყიდება, მისი ფასი კი 43 დოლარია.

კონტრაცეპტივები მხედველობისთვის საშიშია

ასეთ დასკვნამდე კალიფორნიის უნივერსიტეტის მედიკოსები მივიდნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში მკვლევართა ჯგუფი სუსტი სქესის წარმომადგენლებს აკვირდებოდა, რომლებიც აქტიურად მოიხმარდნენ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს. დაკვირვებისას დადგინდა, რომ ქალის ჰორმონი ესტროგენი თვალისშიდა წნევის სტიმულირებას ახდენს, რაც გლაუკომის განვითარების მიზეზი ხდება. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ის ქალები, რომლებიც სამი და მეტი წლის განმავლობაში ორალურ კონტრაცეპტივებს იღებდნენ, ხშირად უჩიოდნენ მხედველობის პრობლემებს, ამიტომ სწავლულები ურჩევენ მანდილოსნებს, ვიდრე ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მოხმარებას დაიწყებენ, ოფთალმოლოგთან გაიარონ კონსულტაცია.

ყველაზე ძვირფასი წინდა

მამაკაცების უმრავლესობისთვის ჩვეული საჩუქარი წინდაა, თუმცა გერმანული ფირმის FALKE მიერ გამოშვებული ნაწარმი ვერაფრით ჩაითვლება მორიგ პრეზენტად — ის 1200 დოლარი ღირს. ეს ოქროსფერ-ყავისფერი წინდა კომპანიის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან შეზღუდული რაოდენობით გამოუშვეს — სულ 10 წყვილი. ფასი იმით აიხსნება, რომ მსოფლიოში ყველაზე იშვიათი და ძვირფასი — ვიკუნის მატყლითაა დამზადებული. ეს ცხოველი ანდებში ბინადრობს და წითელ წიგნშია შეტანილი. ერთი ვიკუნი მხოლოდ 400 გრამ მატყლს იძლევა, მისგან დამზადებულ ძაფს კი არც ღებავენ, რადგან შესაძლოა, საღებავმა უნიკალური სტრუქტურა დაშალოს.

მოწევა სმენას აქვეითებს

ანტვერპენის უნივერსიტეტის მეცნიერებმა უჩვეულო აღმოჩენა გააკეთეს — ისინი აცხადებენ, რომ თამბაქოს მოწევა არა მარტო სხვადასხვა სახის დაავადებას იწვევს, არამედ სმენასაც აქვეითებს. სწავლულებმა ახალი გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 4 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. ექსპერიმენტისას ტესტებს ატარებდნენ სმენით აღქმაზე, რომლის შემდეგაც მონაწილეებს მათ ჩვევებზე ეკითხებოდნენ. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად ეწეოდნენ, სმენის დაქვეითება აღენიშნებოდათ. სმენა უარესდება, თუ ადამიანი ერთ წელზე მეტ ხანს რეგულარულად ეწევა, — აცხადებენ მკვლევარები და დასძენენ, რომ ასეთ დარღვევას შეუქცევადი ხასიათი აქვს, ანუ სმენის აღდგენა შეუძლებელია. ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სმენაზე ნეგატიურად მოქმედებს ჭარბი წონაც.

ჰოროსკოპი
21 დეკემბერი

ვერძი — ვერძებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს.

კურო — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

ტყუპები — დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის და შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევადაც.

კირჩხიბი — კირჩხიბებს ფინანსური დანაკარგი ელით. თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

ლომი — დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან ნაკლებსასურველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობაში.

ქალწული — ქალწულები ყურადღების ცენტრში იქნებიან, მაგრამ წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობისთვის, სამაგიეროდ ყველა კომერციული ოპერაცია ისე დასრულდება, როგორც გეგმავდით.

სასწორი — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

მორიელი — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება მთელ ყურადღებასა და ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

მშვილდოსანი — ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიონის უსინდისობის გამო.

თხის რქა — შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

მერწყული — მერწყულებს ახალი აღმოჩენა ელით, ადვილი არ იქნება ცდუნებასთან გამკლავება, ასევე გარშემომყოფების ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება, ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობასა და სხვების მხარდაჭერის არარსებობაზე.

თევზები — ფინანსური დანაკარგი გელით, სახლში დაძაბული ატმოსფერო კი იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მოგზაურობისთვის.

სუდოკუ

ადვილი

	3	9			5	2		7
				7		6		
7	1		6				8	3
		5						6
				6				
2						9		
5	2				6		4	1
		8		5				
9		7	1			3	6	

სტანდარტი

7		8					4	
6	2				4	7		
					5	6		9
			4		1			7
9				5				8
4			9		6			
3		4	5					
		1	3				7	5
	5					2		4

რთული

9		7	8		5			
		8		7		9	6	
		5						
	3		9	5			4	
	4			8	6		1	
						6		
	8	3		4		2		
			6		1	4		3

ექსპერტი

		6		3	2			
	8							4
4	1			8			7	
2			6			4	8	
1								5
	6	7			4			2
	5			6			2	9
9							1	
			8	9		5		

ჰოროსკოპი
22 დეკემბერი

ვერძი — შეეცადეთ, ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს გიმტროთ.

კურო — შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ სიტუაციით და წარმატებაც არ დააყოვნებს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა უველაფერში საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეგექმნათ საქმიან პარტნიორებთან.

ტყუპები — ტუუბებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყება, თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. კარგი იქნება, საკუთარ შეცდომებზე დფიქრდეთ და გაანალიზოთ, რისი გაკეთება სჯობს.

კირჩხიბი — განსაკუთრებით მობილიზებული უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კოლეგებში გულისწერომას გამოიწვევს, ამიტომ უმჯობესი იქნება, ემოციების აფეთქებისგან თავი შეიკავოთ.

ლომი — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა, ფინანსურ პრობლემებსაც წააწყდებით, თუმცა წარმატებული საქმიანი შეხვედრა, ამ მცირე უსიამოვნებას გადაფარავს.

ქალწული — ეურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ დააჩქარებთ, რადგან ნაკლებად სასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის.

სასწორი — შესაძლოა, ისეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც მოთმინებას საჭიროებს. სასიეგარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან ის კარგს არაფერს მოგიტანთ. ვერც უსიამოვნო სერიოზულ საუბარს გაექცევით.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა უფროსობასთან სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულდია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ და ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება.

მშვილდოსანი — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტუეილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით.

თხის რქა — დღეს შეგიძლიათ თამამად აიღოთ ვალი და თანხა საქმეში დაბანდოთ, თქვენი გეგმები კოლეგებსა და უფროსობასთან განიხილეთ, საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დასვენოთ.

მერწყული — ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ, თუმცა ამაღლებული განწყობის შესანარჩუნებლად, სჯობს, წვრილმანებს ეურადღება არ მიაქციოთ.

თევზები — თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი ამპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ და საყვარელ ადამიანთან გართულებული urთიერთობები ჩიხში შეგვ.

ძროხებს ჰიუსტჰალტერებს აცმევენ

მკაცრი ზამთრის გამო, იაკუტიის სოფელ ოიმიაკონში, მეწველ ძროხებს ცურები რომ არ მოეყინოთ, ბიუსტჰალტერები შეუკერეს... ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, ამ მეთოდს, რომელიც ჯერ კიდევ წინაპრების მოფიქრებულია, ოიმიაკონის ყველა მცხოვრები მიმართავს, რადგან მეწველი ძროხა მათი მარჩენალია. ბიუსტჰალტერს ნებისმიერი თბილი ნაჭრისგან კერავენ, მთავარია, ცურებს კარგად მოერგოს და 70-გრადუსიანი ყინვისგან დაიცვას. ადგილობრივ პირუტყვზე ეს პიკანტური დეტალი პირველად ტურისტებმა შენიშნეს, რომელთაც ამ უჩვეულო სანახაობის გამო გაოცება ვერ დამალეს.

პლასტიკური შეფუთვა თავისტკივილს იწვევს

კანზასის უნივერსიტეტის მკვლევარები, რომელთაც მღრღნელების თავის ტვინზე ბისფენოლის ზემოქმედება შეისწავლეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პლასტიკური შეფუთვა თავისტკივილს იწვევს. სწავლულებმა ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს და მათი ქცევა გააანალიზეს: ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თაგვები უფრო პასიურები ხდებოდნენ. ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ბისფენოლმა, რომელსაც პლასტმასის ბოთლები თუ საკვების შეფუთვა შეიცავს, თაგვებში თავისტკივილი გამოიწვია.

მოზარდების ტანსაცმელს მოხუცი არეკლამებს

72 წლის ჩინელი მოხუცის ფოტოები, რომელიც გოგონებისთვის განკუთვნილ მოდურ სამოსს არეკლამებს, მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც მისმა შვილიშვილმა ისინი ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სავაჭრო საიტზე განათავსა და რაც ადრე უბრალო ხუმრობა იყო, ახლა შესანიშნავ პიარკამპანიად იქცა.

ჩინელი პაპა ლიუ სიანპინგი შვილიშვილის კოლექციის მოდელი გახდა და მიუხედავად იმისა, რომ სამოსი მოზარდებისთვისაა, პაპას თავისი გარეგნობით არანაირად არ დაუმახინჯებია. ჩინელი მოხუცის თავდაჯერება, თავის დაჭერის მანერა და მოხდენილი სხეული შვილიშვილის კოლექციას მოუხდა კიდეც: ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ, მისი კაბების გაყიდვებმა ხუთჯერ მოიმატა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	4	1	6	8	3	9	2	7
9	8	3	7	5	2	6	4	1
7	6	2	4	1	9	3	8	5
8	5	9	2	3	1	7	6	4
4	3	7	9	6	5	2	1	8
2	1	6	8	7	4	5	9	3
6	2	8	5	4	7	1	3	9
3	9	5	1	2	8	4	7	6
1	7	4	3	9	6	8	5	2

სტანდარტი

4	3	5	8	2	9	1	6	7
9	8	1	3	7	6	5	2	4
6	2	7	5	4	1	3	9	8
8	4	2	6	5	7	9	3	1
7	1	3	2	9	4	8	5	6
5	9	6	1	8	3	7	4	2
3	6	9	7	1	2	4	8	5
1	5	4	9	6	8	2	7	3
2	7	8	4	3	5	6	1	9

რთული

5	1	3	2	4	9	8	7	6
8	9	6	1	5	7	4	3	2
4	2	7	6	3	8	1	9	5
3	8	4	7	2	6	9	5	1
1	7	5	4	9	3	2	6	8
9	6	2	8	1	5	3	4	7
2	5	1	3	6	4	7	8	9
7	4	9	5	8	2	6	1	3
6	3	8	9	7	1	5	2	4

ექსპერტი

3	9	6	2	8	1	7	5	4
5	4	2	9	7	3	1	8	6
1	8	7	6	5	4	3	2	9
8	6	5	4	3	9	2	1	7
2	7	1	8	6	5	9	4	3
9	3	4	1	2	7	8	6	5
7	2	3	5	4	8	6	9	1
6	5	9	3	1	2	4	7	8
4	1	8	7	9	6	5	3	2

მე-12 გვერდი: 1. პარტიტურა; 2. ახალუხი; 3. პოლემიკა; 4. რევერსია; 5. ისრიმი; 6. ხიზილალა; 7. ლეზგინკა; 8. ხობი; 9. იაიკი; 10. ოვალი; 11. რაველი; 12. ზაზუნა; 13. აიაზმა; 14. პამპლონა; 15. ამინ; 16. მურომი; 17. ლეია; 18. სვია; 19. ბადაგი; 20. პოზა; 21. იაკი; 22. ლუკა; 23. კალა; 24. მარალი; 25. აირზენა; 26. ფიონა; 27. ცვეიგი; 28. ოვაცია; 29. ბაია; 30. მწდე; 31. იერიში; 32. ზამთარი; 33. ნასა; 34. არამისი; 35. არომატი; 36. ვო; 37. ნუნუა; 38. ტარიგი; 39. თარი; 40. მორბელაძე; 41. ადიტი; 42. ალაო; 43. მარში; 44. იარა; 45. ანტენა; 46. კილი; 47. ისარი; 48. რონდო; 49. გენა; 50. მარჯანი; 51. კატაი; 52. სირ; 53. ბეტა; 54. იუმი; 55. ფავნუსი; 56. ბისო; 57. ობჩა; 58. ვოლანი; 59. ოლე; 60. ნილოსი; 61. მაუ; 62. სვე; 63. იტონი; 64. ფაუ; 65. ყუბილაი; 66. ყორე; 67. სოს; 68. ალო; 69. ჩილი; 70. ლეჩო; 71. ლაპი; 72. ელე; 73. ვანილი; 74. ჯინი; 75. კლიო; 76. აძურა; 77. სე; 78. კიჩო; 79. კორნელი; 80. პირი; 81. მენიუ; 82. უზმო; 83. ნეი; 84. ჯერომ; 85. მოორი; 86. ლუპა; 87. პერიოდი.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!